

# მედიკალი

ქართული  
მედიკალი

წელაწადა

საბოლიტიკო და სალიტერატურო ყოველკვირეული გაზეთი

მეთორმეტე

№ 3

კვირა, 18 იანვარი 1904 წ.

№ 3

გაზეთის ფასი: ერთის წლით ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით— 3 მან. და 50 კაპ.; ტფილისს გარეთ ერთის წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით— 4 მან., სამი თვით— 2 მან., თითო ნომერი 15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში— „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით „კვალის“ რედაქციაში; რუსის ბაზარში, საექსპლესო სახლში, იქვე, სადაც ექ. ხელაძის სტამბაა.

რედაქციის კანტორა ღიაა ყოველ დღე, დილის 10 საათიდან 2-მდე და საღამოს 5 საათიდან 8-მდე. სარედაქციო საქმეებზე პირადი მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, გარდა ორშაბათის და სამშაბათისა, შუადღის 12-დან 2 საათამდე.

ფასი განცხადებისა უკანასკნელ გვერდზე სტრიქონი ორი შაური. ფოსტის აღრესი: Тифлисъ, редакция газеты „КВАЛИ“.

**შინაარსი.** მთავრობის განკარგულება. —ახალი ამბები. —კვირიდან კვირამდე. —კორესპონდენციები. —უცხოეთი გასულ წელს ნ. ე.—ლისა. —წერილი ჭიათურადან კ. მოღებაძისა. —ოცნება, ირეთელისა. —სეხთა შორის, მოთხრობა ია ეკალაძისა. —ნაწყვეტები პოლიტკაური ეკონომიიდან, ა. წულუკიძისა. განცხადებანი.

## მთავრობის განკარგულება.


გამოცხადდა შემდეგი უმაღლესი ბრძანება: ვსცანით რა, რომ 1861 წლის §19 თებერვლის დებულება, რომლითაც გლეხთა წოდებას მიენიჭა პირადი თავისუფლება და საძირკველი დაედო მიწათმფლობელობის მოწყობას, საჭიროებს შევსებას სოფლის ახალ ცხოვრების პირობათა დასაკანონებლად, ჩვენ ვბრძანებთ განხილულ იქმნას კანონმდებლობა გლეხთა შესახებ. ეს განხილვა ჩვენ კეთილ ვსცანით დამყარდეს 1861 წლის რეფორმის დედა-აზრზე და საფუძვლად დაედოს, როგორც გამოვაცხადეთ, ჩვენს მანიფესტში 26 თებერვალს 1903 წელს, სასოფლო საზოგადოებათა მიწების საერთო მფლობელობის ხელუხლებლობა იმ პირობით კი, რომ კერძო გლეხთ საზოგადოებრივად გამოსვლა გაუადვილდეს. ამ განზრახულებათა განხორციელების დროს საჭიროდ ვსცანით საზოგადოებათა წყობილება დაკულ იქმნას და სანადგლო მიწების გლეხთა სამფლობელოდან გამოკლება შეუძლებელ. აღსასრულებლად ამისა შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა კანონ-პროექტი გლეხთა შესახებ, რომელიც თანახმად იმავე ჩვენს მანიფესტისა, უნდა გადაეცეს საგუბერნიო რჩევებს, რათა ადგილობრივ პირობებთან შეათანხმონ. ამისათვის ვბრძანებთ: 1, საგუბერნიო რჩევები შესდგეს, გლეხთა კანონების განსახილველად, იმ გუბერნიებში, სადაც საერო უფროსების დებულებაა შემოღებული, აგრეთვე კიევისა, ვოლინისა და პოდოლის გუბერნიებში; 2, საგუბერნიო რჩევებში, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, მიწვეულ იქმნან გუბერნიის მარშლები, სამოქალაქო დაწესებულებათა უფროსები, საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, საგუბერნიო საკრებულოს მუდმივი წევრი, გუბერნიის საერო გამოგობის თავმჯდომარე, თავად-აზნაურთა და ერობის წარმომადგენელი, ერობის უფროსები, არა ნაკლებ ოთხისა მაზრაზე, და განვითარებულნი კაცნი, რომელნიც თავის გამოცდილებითა და ცოდნით საქმის გამორკვევას ხელს შეუწყობენ; 3, თავად-აზნაურობის წევრნი მიწვეულ იქმნებიან გუბერნატორის მიერ

მარშლებისა და დებუტატთა კრებულის დასახელებით, არა ნაკლებ ერთისა მაზრაზე; 4, ერობის წევრნი მიწვეულ იქმნებიან გუბერნატორის მიერ საერო საბჭოს ხმოსანთაგან, არა ნაკლებ ერთისა მაზრაზე; 5, წესი საქმეთა განხილვისა საგუბერნიო საბჭოთა მიერ და საქმეთა წარმოება განსაზღვრულ იქმნება შინაგან საქმეთა მინისტრის ინსტრუქციით. უმართებულესმა სენატმა ინებოს და ჯეროვანი განკარგულება მოახდინოს ამ ბრძანების აღსასრულებლად. ნამდვილს მისის იმპერატორების უდიდებულესობის საკუთარს ხელით აწერია „ნიკოლოზ“. ცარსკოე სელო, იანვრის 8 დღესა, 1904 წ.

## სხვადასხვა ამბები

ტფილისის გუბერნატორმა დაავალა პოლიცემისტრსა და მაზრის უფროსს, კავკასიის უმაღლესს მთავრობის განკარგულების თანახმად, იმ რუსს გლეხებს, რომელნიც დასახლებულ ადგილებს დაეძებენ ამიერ-კავკასიაში, დაუყოვნებლივ მისცენ ხოლმე მოწმობანი საშეღავათო მგზავრობისა.

რიაზანის საგუბერნიო ერობამ ოთხის წლის წინათ უმაღლეს მთავრობას თხოვნა გაუგზავნა, როზგით დასჯის გაუქმების ნება გვიბოძეთო, მაგრამ პასუხი დღემდინაც არ მიუღია. შარშან ამ საკითხის დაწვრილებით შესამუშავებლათ საგუბერნიო კრებაზე მოხსენება უნდა წაეკითხათ, მაგრამ კრების თავმჯდომარემ ამ საგანზე ლაპარაკის აღძრა არ მოისურვა და უდროვო დროზე კრება დახურა. წრეულს საგუბერნიო საერო კრებაზე კრების წევრმა თავადმა ვოლკონსკიმ ისევ როზგის გაუქმების საკითხი აღძრა, მაგრამ იმავე თავმჯდომარემ პირდაპირ განაცხადა, რომ მე ამ საგანზე ლაპარაკის ნებას არ მოგცემთო. კრებამ დაადგინა, უმაღლეს მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს, ნებას გვიბოძეთო როზგისგან პირველ-დაწყებითი სკოლებში კურს-დამთავრებულნი მაინც ვავანთავისუფლოთო.





ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორმა სამის თვით შეაჩერა გაზეთ „ვაზაპოსტენ“-ის გამოცემა. ამის შესახებ „ფინლიანდსკაია გაზეთა“ ში, სხვათა შორის, დაბეჭდილია: ვაზაპოსტენ“-ის 1 №-ში საახალწლო განხილვაში ისეთი შედარებებია მოყვანილი, საიდანაც აშკარათ სჩანს, რომ ამ გაზეთის რედაქცია ადგილობრივ ავტორთა წრეს ეკუთვნის. რედაქციამ ისაარგებლა სიტყვის თავისუფლებით და რუსეთის მთავრობა ისეთ თავხედურ და ცრუ შედარებებს შეადარა, რომელსაც აშკარაა წაქეზების ხასიათი აქვთ. ამ შემთხვევაში პასუხი უნდა აგოს არა მარტო ცენზორმა. არამედ თვით რედაქციამაც“.

გაზ. „რუსი“ სწერს: „ამ დღეებში მოსკოვის ქალაქის მოხუცთა თავშესაფარში ჰიგიენურის მიზნით 3000 მოხუც დედაკაცს თავები დაპარეს“. იგივე გაზეთი პეტრე-პავლეს საავადმყოფოში არსებულ უწესოების შესახებ უფრო და უფრო საყურადღებო ცნობებს ააშკარავებს. სხვათა შორის, ამ საავადმყოფოში ერთმა ავადმყოფმა დედაკაცმა ორი წლის განმავლობაში ორი ბავშვი შობა. საზოგადოთ ამ საავადმყოფოში მრავალი მომვლელი ქალია ფეხმძიმედ. თუ როგორ უვლიან ავადმყოფთ ეს მომვლელი, შემდეგ ფაქტიდან სჩანს: ერთმა მომაკვდავმა ავადმყოფმა მომვლელ ქალს წყალი სთხოვა. მომვლელმა ხელი კრა და, მომაკვდავის კენესა სხვა ავადმყოფთ რომ არ გაეგოთ, საბანი წაახურა“. მრავალ ამისთანა ცნობის გამოაშკარავებისთვის გაზ. „რუსი“-ი ზემოხსენებულ საავადმყოფოს გამგეობამ პასუხისმგებში მისცა.

„ფინლ. გაზეთ“-ში შემდეგია დაბეჭდილი: „1903 წელს 18 დეკემბერს ხელმწიფე-იმპერატორმა კეთილ-ინება და ბრძანა, ყველა ის ქალაქები, რომელსაც ფინლიანდიის სენატი სხვა-და-სხვა დაწესებულებებს უგზავნის, რუსულს ენაზე იწერებოდეს. იმ შემთხვევაში, თუ მიწერა-მოწერა ისეთ დაწესებულებასთან ან კაცთან აქვს, რომელთაც რუსული არ იციან, სენატს შეუძლიან, რუსულს გარდა იხმაროს ადგილობრივი ენაც, მხოლოდ ორივე ერთათ. ეს წესი დროებით არის შეზღუდული ხუთის წლით“.

5 იანვარს დილიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა უმთავრეს შესავალ კრებაზე გაკრულია შემდეგი დაბეჭდილი განცხადება: „პეტერბურგის გრადონაჩაღნიკის მოადგილე ამით აცხადებს, რომ იმის განკარგულებით, საგუბერნიო საზოგადო დაწესებულებათა მე-231 მუხლის ძალით, ყველა, როგორც საზოგადო, ისე სექციური სხდომები სატეხნიკო და საპროფესიონალო განათლების მოღვაწეთა მესამე კრებისა 4 ამა იანვრიდან დახურულ იქმნა“. (ს. ბირჟევ. ვედ.)

1867 წლიდან ტფილისში ხელოსანთათვის მოქმედებს ეგრეთ წოდებული „დებულება ხელოსანთა ამქრების შესახებ ქალაქ ტფილისში“. ხელოსანი თავიანთ თვით-მმართველობის საქმეში ამ დებულებით ხელმძღვანელობენ და არა სახელოსნო წესდებით, რომელიც სხვაგან რუსეთში მოქმედებს. როგორც „კავკას“-ს გაუგია, ზემოხსენებული დებულება დაძველებულათ და ამ დროისთვის შეუფერებლათ უცნიათ.

კურსკის საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს, რომ ერობაში წოდება გაუქმებულ იქმნას. სათავად-ახნაურო კრებამ ეს საქმე განიხილა და დაადგინა: „მწუხარებით ვავიგეთ, რომ ზემომოხსენებული შუა მდგომლობა უკვე აღძრულ იქმნა, თავად ახნაურთა კრება თავის ზნეობრივ მოვალეობათ სთვლის გამოაცხადო

რომ იგი საერო კრების ცდას არა თუ არ თანაუგრძობს, პირიქით, თავის წმინდა მოვალეობათ უფლებათ სთვლის, რომ თავად-ახნაურობა მტკიცეთ აღდგეს საერობო საქმეში მძღვანელობას, რომელიც მას უმაღლესი ბრძანებით ნიჭიერი, და თავად-ახნაურთა წინამძღოლს სთხოვოს, როც იმან, როცა კი შესაძლებელი იქნება, ყოველივე ეს უმაღლეს მთავრობას შეატყობინოს“.

უმაღლესი ბრძანებით საქართველოს სომეხ-გრიგორიანთა ეპარქიის უფროსი არქიეპისკოპოსი გვეორქ სურენიანცი ზემოხსენებულ თანამდებობიდან დათხოვნილ იქმნა.

13 იანვარს სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე გაზეთის „ცნ.ფურცლის“ რედაქტორის ა. გ. ჯაბადარის, რომელსაც ქუთაისის პოლიციელი ქავთარაძე უჩიოდა, გაზეთით ცილი დამწამაო. პალატამ ბ. ჯაბადარი გაამართლა.

პარიკმიხერების უსტაბაში ბ-ნმა მხეიძემ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება დართოს პარიკმიხერებს კვირაობით იმუშაონ ნაშუადღევის ორ საათამდე. ამ შუამდგომლობის გამო გუბერნატორმა განმარტა, რომ მუშაობის განწყვრიგება დამოკიდებულია ქალაქის გამგეობისაგან, ხოლო ვიდრე გამგეობას სავალდებულო დადგენილებანი არ გამოუცია, პარიკმიხერებს შეუძლიანთ კვირა დღეს იმუშაონო.

რადგან ქალაქის განაპირას, ეგრედ წოდებულ „ვაკზე“ მრავლათ აშენებენ სახლებს, და რადგან განზრახულია ეს ადგილი ქალაქს შემოუერთონ, გუბერნატორმა მისწერა ტფილისის მაზრის უფროსს, ამ ადგილში შენობების ნება იმათ მისცეს, ვინც წარუდგენს საგუბერნიო გამგეობის საამშენებლო განყოფილებიდან აღებულ გეგმებს.

ჩვენ მივიღეთ საქართველოს კალენდარი ვ. გუნიასი. კალენდარი შეიცავს 800-მდე გვერდს. ფასი ერთი მანეთი და კედლის კალენდარი—ფასი 70 კაპ. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამოცემული.

**ქეირი დან ქეირა მ დე**

დაკარგული გეშიოსი.—თავის ბჭობა და ფეხების მოღოდანი.—კორეს-პონდენტის კითხვები.—ახირებული პრეტენზია.—რა ექნა?—მკითხველის სამდურავი.—ქალაქის გულ-უხვობა.—სახალწლო საჩუქარი.—არა საიმედო პრემია.

უბრველეს ყოვლისა, მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი სამწუხარო ამბავი: ქიათურის აღმშენებელი, ბ. ზდანოვიჩის მიერ გენიოსათ წოდებული, განუხორციელებელი პროექტების მთხზველი და ქუთაისის თვით-მმართველობის მიმრქმელი ბ. მიხაილოვი დაიკარგა. დიად, დაიკარგა. ეძებენ მრეწველთა საბჭოს კანცელარიაში, ეძებენ ქალაქის თავის კაბინეტში, ეძებენ მთაში, ეძებენ ბარში, მაგრამ ვერსად პოვეს; იყო და აღარ არის. დარჩა დიდძალი მემკვიდრეობა და მემკვიდრეებიც არ ჩანან. აი მისი ქონების სიაც: ქუთაისის თვითმმართველობასთან შეკრული კონტრაქტი, ბ. ზდანოვიჩის მიერ ბოძებული პირველ-ხარისხოვანი „ატესტატი“, „ვოდოპროვოდის“ ფერადი პაეები, რამდენიმე თამასუქები, რომელიც სხვისგან მიუღია, სხვისთვის გადუცია და ისევ მას დარჩენია და და ერთი მოზღდილი თხზულება: „როგორ უნდა მოიქცე, რომ სხვაც გაყვლიფო და შენც გაიყვლიფო“. ამ მემკვიდრეობაზე,



ამბობენ, პრეტენზიას აცხადებს ბ. ზდანოვიჩიო. ეს სასიკა-  
დულო მემკვიდრე, იმედია, ქალაქს არ დაივიწყებს და კონ-  
ტრაქტს მაინც დაუბრუნებს თუ სხვას არა.

\* \*

თორემ მეტათ ცუდ მდგომარეობაშია ქალაქის გამგეობა.  
კონტრაქტს უკრავს მიხაილოვს, მხოლოდ საქმე რომელღაც  
ამხანაგობასთან აქვს. სწერს წერილს მიხაილოვს, პასუხს ვერ  
ღირსებია; სწერს ამხანაგობას, არც ეს უპასუხებს. ზის ქალა-  
ქის თავი, აქნევს თავს, ბჭობს და დღემდე ვერ გადაუწყვეტია:  
ვის შეეცილოს, მიხაილოვს, თუ ამხანაგობას. ქუთაისელი კი  
ელის ვოდროვოდს, ელის ელექტრონის განათებას, ელის  
კონკას და ხან გამოშვებით შეუკურთხებს ქალაქის „მამებს“,  
როცა კარგათ მძღარს, შეზარხოშებულს, ჩანგრეულ ტრო-  
ტუარში ჩაუცდება ფეხი და აფთიაქიდან მალამო გამოაქვს.

\* \*

მაგრამ ქუთაისის თავი დავანებოთ, რადგან ერთი მეტად  
საქირობოროტო კითხვა მაქვს გადასატყრელი. ერთი ახირებუ-  
ლი კორესპონდენტი ამიკვიტდა: არც ამბავს მწერს და არც  
მოკითხვას, იძლევა კითხვებს: ამას წინეთ მკითხებოდა: ვინ  
უფრო გამოჩენილი მწერალია: ი. ფანცხავა, თუ ხომლელო;  
ან რით განსხვავდებიან ესენი ერთმანეთისგან? მოკლეთ ვუ-  
პასუხე: რასაკვარველია ხომლელო, რადგან ი. ფანცხავას სი-  
ტყუა „გავერობილება“ მისგან აქვს ნასესხები და ეს ვალი,  
რომ გაღიხალოს აღარაფერი დიდება აღარ დარჩება. რაც  
შეეცება განსხვავებას. ამნაირია: ხომლელო სხვისას თვისათ  
ასაღებს, მხოლოდ ი. ფანცხავა სხვისას ამხინჯებს და თავი-  
სას სხვას აძალებს. ესლა კიდევ მკითხება ჩემი კორესპონ-  
დენტი: როდის ახსოვს და უყვარს სამშობლო ჩვენს ინტე-  
ლიგენციას, ან რას იმეტებს მისთვის? ვუპასუხებ: როცა  
შევირალია, როცა ეს სიყვარული ჩინ-ორდენების მიღებას არ  
უშლის, როცა ეს ხსოვნა დიდ ჯამაგირს უქადის, როცა  
ოთახში თბილ ბუხარს ვფიცხება, როცა საჩაიოთ მეზობელს  
ესტუმრება, როცა მოყვრისთვის საარჩევნო კენჭი უნდა იშოვ-  
ნოს და კიდევ, როცა... კვდება. რას იმეტებს? სიტყვას, სი-  
ტყვას და კიდევ სიტყვას. მხოლოდ ამ ბოლო დროს ამის  
გამეტებაც ეშინია...

\* \*

ამ დღეებში გაზეთში წავიკითხე: „ქალაქის მოურავმა  
მოახსენა საბჭოს, რომ მოულოდნელმა ხანგრძლივმა და  
სუსხმა ზამთარმა მეტათ შეაწუხა ღარიბი ხალხი და ქალაქი  
მოვალეა დახმარება აღმოუჩინოსო. ამისათვის ვთხოვ საბჭოს  
ორასი თუმანი გადასდოს ამ საქმისათვის იმ კომისიის გან-  
კარგულებაში, რომელიც ღამის თავშესაფარებს განაგებს და  
ეს კომისია დაურიგებს ვის ფულათ, ვის ტანსაცმელით და  
ვის შეშითაო. საბჭომაც ერთხმად დაამტკიცა ეს მოხსენება.“  
წავიკითხე და მიამა. მაგრამ ეს მაინც ვერ გავიგე:  
რათ იყო მოურავისათვის მოულოდნელი ზამთარი, ან მის  
სუსხს როგორ შეასუსტებს ორასი თუმანი. აღბათ მოურა-  
ვიც მალე მოელის თბილ დარებს და ცოტა სათბურიც და  
ორიოდე ღერი შეშაც საკმაოთ მიაჩნია.

\* \*

გაზეთებში კიდევ ერთი ამბავი ამოვიკითხე: „ქართველ-  
თა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“  
გამგეობას საახალწლო ძღვნათ მიურთმევია ქუთაისის თავ-  
და-აზნაურობისათვის ქუთაისის სააზნაურო სკოლა და სამა-  
გიეროთ თავადური მადლობა მოსვლია. ნამდვილი ქართვე-  
ლური გულუხვობაა! ერთი რამ მაწუხებს: ჩვენმა საზოგადო-

ებამ ამ ბოლო დროს ახირება დაიწყო და ვაი თუ გამგეობის  
ასეთი საქციელი არ მოიწონოს. პატარა საბუთიც აქვს. სა-  
ზოგადოებამ გამგეობას თავისი ქონება ხომ ~~საქართველო~~  
ჩააბარა და არა გასაჩუქებლათ, გამგეობამ კი ~~საქართველო~~  
დაუკითხველათ აიღო და გააჩუქა. იმასაც ამბობენ, გამგეობას  
გადაქრით არ ქონია გადაწყვეტილი, მაგრამ, როცა აზნაუ-  
რობის მადლობა მოსვლია, შეწბილებული გაჩუქებულა. ერთი  
მადლობა ავანსით მეც უნდა ვუძღვნა ამ ახირებულ გამგეო-  
ბას, ეგებ რამე მაჩუქონ.

\* \*

საზოგადოთ ახირებული გამგეობები გვყავს. დრამატიუ-  
ლი საზოგადოების გამგეობა ყოველ წლიურათ აცხადებს  
პრემიას მოწონებული თხზულებისათვის; გზავნიან და გზავნიან  
მოსაწონებელ თხზულებებს, ინახვენ და ინახვენ გამგეობის  
შეკრუში. ამას წინეთ ნაცნობის წერილი მივიღე; მწერს: „კა-  
ცო, ერთი წელიწადია თიქმის დრამა გამოვგზავნე და პრე-  
მიას ვინლა ჩივის, ნაწერი მაინც დამიბრუნონ, გაიგე რაშია  
საქმე, თუ ძმა ხარ“. შევიარე, გავიგე და ვუპასუხე: „მეგო-  
ბარო, შენი თხზულება ჩინებულათ არის შენახული, ჯავრი  
ნუ გაქვს, არც წახდება და არც დაიკარგება. გამგეობას ჯერ  
სხდომა არ ქონია და როდის ექნება არც თვითონ იცის.  
ჩემის ფიქრით, სანამ ზამთრის სუსხი არ გაივლის ვერც შეი-  
კრიბება და მაშინ ხომ გამგეობაც უნდა გამოიცვალოს...“

\* \*

ერთი კიდევ მწერს: დღეიდან „კვალს“ ნულა მიგზავნით,  
თუ კიდევ „კვირიდან კვარამდე“ იქნება შიგაო. ამიტომ  
გთხოვთ ხვედრი ფული დაუყოვნებლივ მაახლოთ. ფულის  
ხლების რა მოგახსენო და „კვალის“ შეწყვეტა კი შესაძლებე-  
ლია, ვინაიდან ჩემი რედაქციიდან განძევება ყოველად მოუ-  
ხერხებელია. სტატიის ძალით რედაქტორი ვერ მომიშორიებს,  
რადგან მაგარი კონტრაქტი მაქვს შეკრული, ნებით არ წავალ  
და; თუ ღმერთმა ქნა და ავთომყოფობას გადაურჩი, ვილაც  
უცნობის ახირებას როგორ დავემორჩილები.

### კორესპონდენციები

**ხონი.** ხონის უფასო სამკითხველოს წევრთა წლიური  
კრება მოხდა დ. ხონში 5 იანვარს.—კრებას განსახილ-  
ველათ წარედგინა შემდეგი საგნები: 1) დამტკიცება წარსუ-  
ლი 1903 წლის ანგარიშისა, 2) ამორჩევა ბიბლიოთეკის  
გამგეობის რამოდენიმე წევრისა, და 3) ამორჩევა და დამტკი-  
ცება სარევიო კომისიის წევრებისა.—საგნების განხილვამდე  
კრებამ, რომელიც შედგებოდა 13—14 კაციდან, თავმჯდომა-  
რეთ ამორჩია ბ. ვალერიანე გალდავაძე, მღვინათ ილია ბახტა-  
ძე. გაიხსნა კრება იუ არა, სამკითხველოს მმართველმა ბ. პ.  
კიკალიშვილმა, წაიკითხა გასული 1903 წლის ანგარი-  
ში. საწევრო ფული შემოსვლია სამკითხველოს 76 მ. 50 კ.  
წინა წელთან შედარებით სამკითხველოს ძალიან ცოტა შემო-  
სვლია საწევრო ფული; ხონის საურთიერთო კრედიტის საზო-  
გადოებას 19 მ. 94 კ. შემოუწირავს სამკითხველოსათვის;  
მეტი ქველმოქმედების უნარი გამოუჩენია ხონის შემნახველ  
გამსესხებელ ამხანაგობას, რომელსაც შეუწირავს სამკითხვე-  
ლოსათვის 30 მანეთი; სხვა და სხვა ქალაქებში კერძო პირე-  
ბიდან შეგროვილა სამკითხველოს სასარგებლოთ 143 მ.,  
სამკითხველოს სასარგებლოთ წასულ ზაფხულში გამართულ  
წარმოდგენას დაუტოვებია სამკითხველოსათვის 33 მ. 24  
კ.—1 იანვარს 1903 წელს სამკითხველოს, ძველი წლისაგან  
გადმოსული ფული ქონია 135 მ. 4 კ.; ხელის მომწერთაგან,



რომლებიც სარგებლობდნენ ბიბლიოთეკის წიგნებით, შემოსულა 33 მ. 96 კ.—სულ სამკითხველოს ქონა 1903 წლის მიმდინარეობაში 471 მანეთი 68 კაპიკი, სამკითხველოს შესანახათ დახარჯულა 290 მანეთი 42 კაპ.—სამკითხველოს 1903 წელში მოდიოდა შემდეგი ჟურნალ გაზეთები: „კვალი“ „ივერია“, „ცნობის-ფურცელი“, „მოამბე“, „Русское Богатство“ „Мирь божий“ და „Новое-обозрѣніе“. \*) წლის დამლევის უკანასკნელ თვეებში სამკითხველო „ცნობის ფურცელს“ არ ღებულობდა, მიზეზი ამისა კი რა იყო არ ვიცი!

1904 წლის 1-ლ იანვარს სამკითხველოს ფულად ქონა 186 მ. და 42 კაპ.—ანგარიშის წაკითხვის შემდეგ გაიმართა კამათი იმის შესახებ, თუ რისთვის იკლო საწევრო ფულის შემოსავალმა, და წევრთა რიცხვმა (შარშან წევრთა რიცხვი აღემატებოდა 110-თ კაცს; წელს-კი 62-რზე ჩამოსულა)—სამკითხველოს წევრთა შემცირება ერთმა სამკითხველოს წევრთაგანმა აი როგორ ახსნა: შარშანდელ კრებაზედ შემდგარმა მცირედმა „ოპოზიციამ“, წინააღმდეგ რამოდენიმე შეძლებულ წევრებისა (რომლებიც არისტოკრატიის და ბურჟუის სახელით მონათლა) ბიბლიოთეკის გამგეობის წევრებათ აირჩიეს ნამდვილი მშრომელი ხალხი; (თუმც არც ამათ გამოუჩენიათ დიდი შრომის უნარი ბიბლიოთეკის ასაყვავებლად) ასეთი საქციელი ოპოზიციისა იუკადრისეს ამ ვაჟბატონებმა, და სამკითხველოს განზე გაუდგენ. სამკითხველოს მმართველმა ბ. პ. კიკალიშვილმა სამკითხველოს წევრთა შემცირება ახსნა იმით, რომ ხონელებს ჯერაც ვერ შეუგნიათ სამკითხველოს მნიშვნელობა. ესეც შემცდარი აზრია! ხონელებს ესმით სამკითხველოს მნიშვნელობა, მაგრამ რაღაც სხვა მიზეზია, რომ ისინი მას გულცივათ ეკიდებიან! წევრმა მიხაკო ბახტაძემ აი რა წარმოსთქვა კრებაზედ: „უფალი სამკითხველოს მმართველი, ე. ი. ბ. პ. კიკალიშვილი, როგორც გადმომცეს არ ღებულობდა რევიზიის წევრებს, თუმცა უკანასკნელნი ამორჩეული იყვნენ კრების-შიერ რევიზიის მოსახდენათ. ეს ხმა გავრცელდა ხალხში, და ამ გარემოებამ მატერიალურად დააზარალა ჩვენი სამკითხველო. ზოგიერთები აი რას გაიძახოდნენ თურმე: „რადგანაც ჩვენ ამორჩეულ ხალხს არ იღებს ბ-ნი პ. კიკალიშვილი, მისთვის დაველოცია სამკითხველოვო, როგორც უნდა ისე შეინახოსო!“—ბ. კიკალიშვილმა განაცხადა: სულ ყველაფერი ეს ქორია, ტყვილია; ჩემთან არავინ მოსულა სარევიზიოთო!“ ისონ ბახტაძემ, სარევიზიო კომისიის წევრმა, სთქვა: „მე გავზავნე ბ. პ. კიკალიშვილთან კაცი—როდესაც მინდოდა რევიზია მექნა გამგეობის მოქმედებისათვის, მაგრამ უფალმა ბ. კიკალიშვილმა უარი შემომითვალა.—ბ. ბ. კიკალიშვილი: „მე უარი არ მითქვამს, მხოლოდ არ მახსოვდა იყო წარსულ კრებაზედ ამორჩეული სარევიზიო კომისია თუ არა. ამის გასაგებათ სარევიზიო კომისიას მივეუთითე ოქმზედ, და ბიბლიოთეკაზედო, სადაც შეიძლებოდა დაწვრილებით ამბის გაგება, რის შემდეგ შეეძლოთ რევიზიის მოხდენაო“. ოქმი წარსულ კრებაზედ არ შემდგარა, და შეუძლებელი იყო არ არსებულ ოქმში შეტანილი ყოფილიყო სარევიზიო კომისია!—სარევიზიო კომისია ამოირჩიეს თუარა წარსულ კრებაზედ, ამის გაგება შეიძლებოდა მხოლოდ ბიბლიოთეკის მმართველისაგან, მხოლოდ სამკითხველოს უჯრებში სარევიზიო კომისიის მონახვა არ შეიძლებოდა!—კრებაზედ, რომ სარევიზიო კომისია ამოირჩიეს ეს ყველას ახსოვს, და მომეტებულად უნდა ხსომებოდა ბ. პ. კიკალიშვილს. შიშინდვია მკითხველ საზოგადოებისათვის განსასჯელათ, თუ ვინ არის მართალი, სარევიზიო კომისია თუ ბ. კიკალიშ-

\*) ამ წელშიაც ბიბლიოთეკა ყველა იმ გაზეთებს მიიღებს, რასაც წარსულ წელში იღებდა.

ვილი?—ხანგრძლივი კამათის შემდეგ, რომელიც უფრო პირად კინკლაობას წარმოადგენდა, დამტკიცებულ იქნა 1903 წლის ანგარიში.—ანგარიშის დამტკიცების შემდეგ ირჩიეს გამგეობის ორი ახალი წევრი; სარევიზიო კომისიის წევრები ისევ ძველი სარევიზიო კომისიის წევრები დარჩნენ: პ. მდივანი ისონ ბახტაძე და ერთი ახალი ლ. სანოძე.—კრების დასასრულ პრესასაკვი შეეხენ. ბ. მ. ბახტაძემ, საუბრითერთო კრედიტის საზოგადოების თავმჯდომარემ ერთათ-ერთი, მაგრამ დიდებული აზრი წარმოსთქვა: ხონიდან არ გვინდა კორესპოდენტებო, ყველა ტყვილს სწერსო!“ რამ ათქმევინა ეს ბ. „მათეს“, სწორეთ არ ვიცი! ვიცი მხოლოდ, რომ სინათლეს სიბნელე უფროთხის.

ილია ბახტაძე.

**ხიდისთავი (გურია).** „კვალის“ № 33 წავიკითხე წერილი სადაც იყო მოთავსებული, აფთიაქის საქმე მონოპოლია რუსეთშიო.

დადი სიხარული გამოიწვია ამ წერილის წაკითხვამ ხიდისთავში. ამბობდნენ: ნეტა როდის მოვესწრებით ხიდისთავში მეორე აფთიაქის გაღებას, რომ ბ. გეგელაშვილის კლანჭებიდან დაგვიხსნასო. ვიცი რომ ბ. ნიკოს ჯიბეების გასქელების საღერღელი აქვს აშლილი და წამლებს ძალიან ძვირათ გვაძლევს, მაგრამ რა ვქნათ რომ მას იქით სახსარი არა გვაქვს.

მაგალითათ ბ. გეგელაშვილმა სამ ჭურათ ღირებულ წამალში აიღო ცამეტი შაური და აბაზათ ღირებულში კი—ჩვიდმეტი შაური; აქედან აშკარაა, თუ როგორი დემოკრატი ბრძანდები ბ. ნიკო, რომელიც მუდამ მაღალ-მაღალ სიტყვებს იმეორებს და საქმით კი ყველას ყველას...

რაც შეეხება ავტორს, რომელმაც აფთიაქის მონოპოლიის შესახებ გვესაუბრა, იმას ვუსაყვედუროთ უნდა, რადგანაც აფთიაქის მევატრონებმა მოუსვენს ხელი: მონოპოლია თუ გაუქმდება, მაშ მანამდე ვეცადოთ და გავაძროთ ტყავი ხალხს რამდენადაც კი შევიძლოთ. ბ. ნიკო გეგელაშვილიც ასე იქცევა.

ს. რამიშვილი.

**ქუთაისი.** შობის ხის დღესასწაული საკვირაო სკოლაში. ქუთაისის საკვირაო სკოლის ხელმძღვანელებს ახალწლის მეოთხე დღეს თავიანთ მოწაფეებისთვისაც შობის ხე გაემართათ. ამ დღის შესახებდრათ თუ კერძო ოჯახებში, სადაც კუთხე-მეზობლებიდან 10—20 ბავშვი იყრის ხოლმე, თავს და აქ მათ მხიარულებას საზღვარი არ აქვს,—საკვირაო სკოლაში 300—400 მოზარდების ერთი საქმისათვის თავის მოყრას, მით უმეტესი წარმტაცი და გამაცოცხლებელი გავლენა აქვს.

ამ საქმის პრაქტიკულათ განხორციელება წელს ქუთაისის საკვირაო სკოლის მოღვაწეებიდან წილათ ხვდა ამ სკოლის თავდაპირვანდელ გულშემატკივარ-ხელმძღვანელს, მარია ოტიას ასულს ვარდოსანიძეს, რომლის მეცადინეობაზე გადაიარა 4 იანვარს საკვირაო სკოლაში შობის ხის გამართვის საქმემ. რასაკვირველია, მას ამ დღეს დამხმარეთ სხვა თავისი ამხანაგებიც ყავდა იმ 46 მასწავლებელ ქალ-ვაჟებიდან, რომელნიც მასთან ერთათ შრომობენ მდაბიო ხალხის გათვით-ცნობიერების ეკლიან გზაზე.

4 იანვრის დღესასწაული გამართული იყო სათავად-აზნაურო სასწავლებელში, სადაც დღეს-დღეობით მოთავსებულია საკვირაო სკოლა. ამ დღეს ხელმძღვანელებს სულ მცირე ხარჯით (40 მან.) და ზოგიც შამოწირულებით, კვლუკათ მოერთოთ შობის ხე საკვირაო სკოლის დღესას-



წაულისათვის, რომელზედაც მოწაფეებს სხვა-და-სხვა საჩუქრებიც დაურიგეს. საჩუქრებში, გარდა ჩვეულებრივ ხილების, კამფეტების და სხვა-და-სხვა ნივთებისა, იყო ქართული წიგნებიც, რასაც დიდის სიხალისით იღებენ ისინი. ერთი მუშა, რომელიც ახლანდელ ცხოვრების პირობებს დღიურ სამუშევრის საძებნელათ ბაქო-თბილისისაკენ გაუმგზავრებია, იმედგაცრუებული წინ დღით თავის სამშობლო ქალაქს დაბრუნებოდა, აქ მას სიამოვნებით მოგონებოდა თავის აღმზრდელი შკოლა და მ იანვარს ისიც ჩარეოდა საკვირაო შკოლის დღესასწაულში. სხვათა შორის, საჩუქრების დარიგების დროს, მასაც რგებოდა ორი სამეცნიერო წიგნაკი: „ჰენრიხ გეკლი“ და „სითბო და ჰაერი“; გახარებულმა იქვე წაგვილაპარაკა: ძალიან გულით მინდა ეს წიგნები, მარა საყიდლათ ფული არ გადაგრჩენიაო. ვინ დათვლის რამდენი იყო ასეთებიც, რომელნიც შემთხვევით თუ იკმაყოფილებენ თავიანთ სურვილს სწავლისას.

შობის ხის დღესასწაული 4 იანვარს 300—400 მაყურებლების თანადასწრებით დაიწყო ნაშუადღევს 4 საათზე. ამაში ორი მესამედი თვით საკვირაო შკოლის შეგირდები იყვენ ორთავე სქესისა. თავდაპირველათ ხელმძღვანელებმა უჩვენეს დამსწრეთ ბუნდოვანი სურათები და აუხსნეს ისინი. შემდეგ თვით მოწაფეებმა წაიკითხეს ქართული ლექსები. ამ დროს მოვიდნენ საგანგებოთ მოწვეულნი სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეები თავიანთი მუსიკით, რომელთაც ხელმძღვანელობდა დახელოვნებული კაპელმეისტერი ლუარსი კეშელავა. ამათი მოსვლით დამსწრეთა მხიარულება გაორკეცდა და ყველამ ერთბაშათ იგრილა: „მუზიკა მოვიდა, მუზიკაო“. მუსიკის ხმაზე დარბაზში ბავშვები ჯგუფ-ჯგუფებად ჩაემწკრივენ, ამათ ჩარეოდნენ მასწავლებელი ქალები და თავდარიგს აძლევდნენ. რასაკვირველია, სრული წესიერების დაცვა აქ ძნელი იყო, მარა ამათ ზღვასავით მღვლეარე შრიამულს, ხითხითს და ხტუნაობას მაინც სიამოვნებით უყურებდი, რადგან აქ თავ-მოყრილნი იყვენ ერთის მხრით სწავლის შეძენის მსურველი ღარიბთა ბავშვები და მეორეს მხრით უსასყიდლოთ ამათი სურვილის დამაკმაყოფილებელი მასწავლებლნი ორთავე სქესისა, რომელთაც, უეჭველია, ზნეობრივ მოვალეობათ მიუჩნევიათ აქ შრომა.

სხვა სასწავლებლის შეგირდები და გარეშე დამსწრეებიც ბანს აძლევდნენ მედღესასწაულეთ და ასე, ამ რიგათ ერთ ფერხულში ჩაბმულნი ლეკურისა და ევროპიულის თამაშით ამხიარულდნენ საღამოს. საჩუქრების დარიგების შემდეგ, 9 საათზე, საკვირაო შკოლის მედღესასწაულენი ნასიამოვნებნამხიარულები დაიშალნენ და ერთი მეორეს ეუბნებოდნენ: „ღმერთმა საგაისოთ უკეთეს მოგვასწოროსო“ და, უეჭველია, ამ გულუბრყვილო წამონაძახს მართლაც სახეში მიიღებენ ამ შკოლის ხელმძღვანელნი, რათა უფრო შინაარსიანი ხსიათი მისცენ მრავალ რიცხვოვან ახალგაზღობის თაყრილობას...


უცხოეთი გასულს წელს.

Ex oriente lux —ნათელი აღმოსავლეთით მოფინება ქვეყანასაო, ამბობდნენ ძველები, ლ თუმცა ჯერ კიდევ ვერ ვხვდავთ ამ სანეტარო ნათელს ქვეყნათ მოფენილს, იგი მხოლოთ მოსაპოვებელია და მოსაპოვებელი ბრძოლით, მაგრამ ეს კი აშკარაა, რომ გასული წლის განმავლობაში მთელი ევროპისა და განათლებულ-გაუნათლებელი კაცობრიობის ყურადღება აღმოსავლეთისაკენ იყო მიქცეული. აღმოსავლეთი შორე და აღმოსავლეთი ახლო, აი ის ორი ბუნქტი, რომელთა გარშემო ტრიალებდა სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა 1903 წ.

ამათგან უმთავრესს ყურადღებას, რასაკვირველია, შორე აღმოსავლეთი იქცედა, რადგან იგი დღეს საბრძოლველ ბაზარებათ არის გადაქცეული. იქ, იმ შორს აღმოსავლეთში ეძებს, თუ გასავალს არა, დროებით ხსნას მაინც შინაპრობის მყელეფელი მაჯლაჯუნა კაპიტალიზმი; იქით შიდაღრუის მთელი ევროპის ბურჟუაზია და იქ ელის თავისი კაპიტალის საუკეთესო, სახეირო და საიმედო დაბინავებას, რადგან ამ შემთხვევაში უფრო გულახდილათ და გაბედვით უჭერს მხარს მას მთავრობა და მზათ არის მათი პროცენტების ასაღებათ ერთიმეორეს შეაკლას სხვა-და-სხვა ენაზე მოლაპარაკე, ხოლო ერთი ინტერესებით გამსჭვალული ხალხი (გერმანია და ვენეცუელა). ელტვის ბურჟუაზია აღმოსავლეთის ბაზარს, რადგან ვერ ეტევა შინ და თუ დაეტია მაშინ ცოტადენი მაინც უნდა მოუკლოს მადას, რადგან „განვითარებულ“ და „გაკულტურებულ“ ქვეყნებში ლამის არის თავისი თავი თვითონ შთანთქას. ამისი საუკეთესო მოწამეა დღემდინ გამძვინვარებული კრიზისი, რომელიც საოცარ სურათს წარმოგვიდგენდა თვალწინ—ერთი მხრით აუარებელი დამზადებული საქონელი და მეორე მხრით მშვიერ-მწყურვალე უმრავლესობა, რომლის შრომის ნაყოფიც არის ეს უძრავი და უხმარი სიმდიდრე. ესეც არ ყოფილიყო, ყველასაგან ცნობილი ქეშმარიტებაა, რომ განუვითარებელ ქვეყნებში უფრო დიდია ფულის სარგებელი, რა სახითაც უნდა აწარმოვო იგი და ბურჟუაზიას-კი მოგვხსენებათ, მადა მეტათ დიდი და ძნელათ დასაკმაყოფილებელი აქვს. აი ეს არის უმთავრესი მათივი სახელმწიფოთა აღმოსავლეთისაკენ ლტოლვილებისა, თუმცა ზოგან სხვა მოტივებიც ემატება. მაინც, საკვირველი რამ არის ომი! მას ისეთი წარმტაცი ძალა აქვს იმდენათ შეიპყრობს ხოლმე კაცთა გონებას, იმდენათ გაიტაცებს ადამიანს თავისი აზარტით, რომ გვეგონება, ამ ხალხს შინ არაფერი აწუხებს, მხოლოთ ეს არის ამ გარეშე მტერს დაურღვევია მისი ყურადღებაო... და აი სწორეთ ეს გადაფუჩჩება, ეს თვალის აბმაა ზოგიერთებისთვის საჭირო და სანატრელი. მართალია, ისტორიამ ისეთი მაგალითებიც-კი იცის, რომ ამ ხერხის მიმდევარი თვით შექნილა თავისი ხრიკების მსხვერპლი, როგორც, მაგალიათ, „პატარა ნაპოლეონი“ 1870 წ., მაგრამ ეს იშვიათია. ასეთი გამომფხიზლებელი ძალა მხოლოთ ისეთ ომს აქვს, რომლის დასასრული და შედეგი თვით ყრუსა და ბრმასაც დაანახვებს შინაურ მოუწყობლობას, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ერთობ ძვირათ ჯდება გამოფხიზლება, როგორც ქონებით ისე ადამიანთა სიცოცხლითაც და იმიტომ დემოკრატია ყველგან წინააღმდეგია თოფ-ზარბაზნების სამართლისა, მას ურჩევნია ბუნებრივი გამოფხიზლება. ომი კი ყოველთვის ხალხის მკერდით გასატანია, მისი შემდეგით კი ხელს სწორედ სხვები ითბობენ.

უფრო სუსტი გამოხატულება ამავე მოვლენისა არის ახლო აღმოსავლეთი და მისი ამბები, რომელნიც მეორე მხრით გვაცნობენ იმავე რიგის მამოძრავებელ ძალებს. აქ, ხავსმოკიდებული ოსმალეთი, თავისი დროს გადასული ფანატისკობით თავისი უმწვერვალესი დესპოტიზმით მუსრს ავლებს ყველა გააურებს, გარდა რასაკვირველია უმესანიშნესის ყოფილის ხალხის სახელის მატარებელ ბერძენისა, მაგრამ აგრე რიგათ მათთვის თავს არავინ იტყენს და ყველაფერი „ნოტებით“ და ელოების განცხადებათა მიმოცვლით თავდება. არის ლაპარაკი რეფორმებზე, მაგრამ პეტრეს მოსვლამდინ პავლეს ტყავი ძვრება, ველარ ითმენს ადამიანის ბუნება იმ შეურაცკყოფას, იმ შევიწროებას, რომელსაც მას აყენებს ოსმალთა მთავრობის თავგასულობა და ერთი მუჭა ხალხი ებრძვის უზარმაზარ ბატონს—პატარა მაკედონია წინაღუდვა ოსმალთა მტარვალობას იბრძვის თავგამეტებით, რადგან არაფრის დაკარგვა არ შეუძლია და იცის რომ ხსნა ბრძოლაშია; იბრძოდა გასულს წელს,





იბრძოლებს ალბათ მომავალშიაც, მაგრამ აქ ამ ბრძოლაზე უფრო საინტერესოა და დასაკვირვებელი მაცქერალთა ყოფაქცევაა. ახლო აღმოსავლეთი ასე თუ ისე უკვე განაწილებულია ეგრეთ წოდებულ გავლენისათვის, რომელსაც ეგრე რიგათ ეტანებიან სახელმწიფოები; მისი ბაზარი დიდი ხანია დაქვრივია და არავისთვის ახლა დიდ ინტერესს არ წარმოადგენს. ამიტომაც ყველა (რასაკვირველია პოლიტიკოსები) ისე გულგრილად უყურებს აქაურ ამბებს და დახმარების ნებასაც არ აძლევენ მონათესავე ერებს, რომელთა ყოველნაირი ინტერესები, რასაკვირველია, მაკედონიას ოსმალეთის ხელისაგან დახწევას თხოულობენ. დიას, ამ ინტერესებით განისაზღვრება ყოველგვარი თანაგრძნობა. საკმაოა ამ მხრით მოიგონოთ ვენეციულებს საქმე. იქ მონაროეს თეორიამ მოითხოვა გერმანელების აპეტიტის შეჩერება, და შეერთებულმა შტატებმა უცბათ შეაყენეს გერმანიის ძლევა-მოსილი მხედრობა. შესაძლებელია, ჩვენი მკითხველი ამ მიმოხილვისაგან მოელოდა თანამედროვე პოლიტიკის მიმდინარე კითხვების გადაწყვეტას, ან იმის გაგებას მაინც იქნება თუ არა ომი იქ, იმ შორეულ აღმოსავლეთში, რომელზედაც მეც ვილაპარაკე და დღიური გაზეთები კი ყოველ დღე აჭრელებულია იმისი ამბებით; ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია ვაუწყო, რომ მე ძრიელ სუსტი პოლიტიკოსი ვარ, მხოლოდ უბრალო მკითხველი და ამიტომ იმაზე მსჯელობა, თუ რა იქნება ხვალ, საით გადაიწევა დიპლომატიის სასწორი, საით გადაბრუნდება ჩარხი და ვის მოიტანს ქვეშ, არ მენებრება. ჩემთვის ბევრათ უფრო საინტერესოა ის საზოგადო შთაბეჭდილება, რომელსაც ჩვენზე ახდენს ჩვენს გარეშე შემზადებული, მაგრამ ჩვენ ზურგზე დამყარებული მოვლენა და საზოგადო ტენდეციის ანუ მიდრეკილების აღნიშვნა, მით უმეტეს, რომ მე და თქვენ აჩავინ გვეკითხავს, თუ როგორ მოიქცენ ან ჩვენ როგორ გვინდა მოვიქცეთ, ამიტომ დავანებოთ თავი საგარეო პოლიტიკას და დავაკვირდეთ მას თუ სად როგორ ცხოვრებდნენ გასულ წელს და რა მიდრეკილება ეტყობოდა იქაურ ცხოვრებას შინაურ საქმეებში. ამ მხრით ყოველათ უწინარეს ჩვენ ყურადღებას რასაკვირველია გერმანია იპყრობს, სადაც გასული წლის არჩევნებზე ისეთი შეუღარებელი გამარჯვება ხვდა წილათ გერმანიის რეიხსტაგის მემარცხენთა პარტიას. ამ პარტიის გამარჯვებამ ბევრს თავზარი დასცა და ზოგიერთ ენა-წყლიან და დამოუკიდებელ ორატორს ენასასაზე მიაკრა, ზოგიერთებს კიდევ მეტათ ზრდილობიან კილოზე დააწყებინა საუბარი. შეგვიძლია დაბეჯითებით ვსთქვათ, რომ გერმანიის რეიხსტაგ ში ბებელის პარტია 81 ხმის ნაცვლათ 60-ით დაბრუნებულიყო (ძველ რეიხსტაგში 58 ხმა ქონდა) გრაფი ბიულოვი ისეთ დაწვრილებით კრიტიკას არ იკისრებდა მემარცხენთა მეთაურის სიტყვის შესახებ, როგორც ეს მან იკადრა სახელმწიფო ბიუჯეტის გარჩევის დროს. მაგრამ რა უნდა ექნა თუნდ სამინისტროს მეთაურს, როცა ყველასათვის თვალსაჩინო ფაქტი იყო, რომ ამ მეთაურს ზურგს უმაგრებდა მთელი მოზრდილი მამრობითი სქესის ერთი მესამედი! ასეთ ძალას გვერდს ვერავინ აუხვევს, მას ანგარიშის გაწევა უნდა, და უნდა მით უმეტეს, რომ ეს პარტია მომავლის პარტიაა, თუ დღეს მას სამ მილიონზე მეტი ხმა აქვს, მომავალ არჩევნებისთვის ხუთი თუ არა ოთხი მაინც ექნება. ბევრი სხვადასხვა საპატიო მიზეზებს უჩვენებს ამ პარტიის ძლევამოსილი ზრდის ასახსნელათ, როგორც, მაგალითათ, თვით ბურჟუაზიული წრეების უკმაყოფილებას გერმანიის თანამედროვე მთავრობის ქცევით. შესაძლებელია ამასაც ქონდა მნიშვნელობა რადგან საუკეთესო მომავლისთვის მებრძოლი პარტია ერთათ ერთი პირდაპირი დამცველია ყოველივე სამართლიანობისა და თანასწორობისა აწმყოში, მაგრამ რომ ეს არ კმარა ასეთი გა-

მარჯვებისთვის, ეს მეტათ აშკარაა და ამაში ხელოვნურად ვინც ვგარწმუნებენ, როცა ყველა ბურჟუაზიული პარტია შეერთდნენ მემარცხენთა წინააღმდეგ—ოღონდ კი ამით გაეტანათ და ვინც უნდა გასულიყო მის ძლევამოსილებაში გვერწმუნება ის მოვლენაც, რომ ეს პარტია სრულიად მოუბრძობლათ შეუდგა თავისი რაზმების გაწმენდას რევიზიონისტებისა და უნივერსიტეტელებისაგან (დრეხდენის კონგრესი) რასაც ზოგიერთები უტაქტობათ ართმევენ მეთაურებს. რაც უნდა სთქვან, მაგრამ მართლა ძლიერი და მკვიდრს ნიადაგზე უნდა იდგეს პარტია, რომელიც ასე უკომპრომისოთ მიდის თავის მიზნისაკენ. ასეთ პარტიას მხოლოდ ცხოვრებაში, თვით ხალხში უნდა ეგულვებოდეს თავისი ძალა, თვით ცხოვრება უნდა მიერგვებოდეს მისკენ ახალს რაზმებს! და აი, სწორეთ ეს დავგანახვა წარსულმა არჩევნებმა.

სწორეთ ამ გარემოებამ ათქმევინა გრაფ ბიულოვს კონსერვატორთა მეთაურის გრ. ლიმბურგის წინააღმდეგ რომ, „სახელმწიფოს გონიერი პოლიტიკა პოლიციური თავგამოდებით კი არ გამოიხატება, არამედ მით რომ იგი უნდა მიეგვბოს ხალხის მოთხოვნილებათა და მისწრაფებათ.“ და ამის შემდეგ აღნიშნა ის რეფორმებიც, რომელიც საჭიროთ მიაჩნია მთავრობას გაახორციელოს ახლო მომავალში. ამათში მოხსენებულია: უზრუნველყოფა მუშათა ობლებისა და ქვრივებისა, საფაბრიკო შრომის დაცვის გაძლიერება, დაზღვევა ცუდაობისაგან, ხოლო ყველა ამათ აგვირგვინებს ის მოსაზრება, რომ ხალხის თვითმოქმედების სფერა გაფართოებული უნდა იქნეს და უნდა განთავისუფლდეს პოლიციის ოპეკისაგან. ასე ალაპარაკებს ის თვით ბიულოვსაც კი რომელიც მართალია პირველი მინისტრია, მაგრამ დანამდვილებათ არ იცის ხვალ რა პროგრამის გატარება დასჭირდება.

გერმანიის შინაურ სხვა საქმეთაგანი ჩვენ აღნიშნავთ მხოლოდ იმ დროს გადასულ მოვლენას, რომელიც პირდაპირი ნაყოფია თანამედროვე მილიტარიზმისა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის პროცესები, რომელთაც გამოააშკარავებს, რა ზომ მცირეთ არის უზრუნველყოფილი ახალგაზრდათა პიროვნება სალდათის მუნღირში. ამის ნიმუშათ უჩვენებენ ესენის პროცესს, რომლის გმირი გიუსენია, რომელმაც (საზღვაო უწყების კადეტთა) თავისუფალი ჯარის კაცი სიცოცხლეს გამოასალმა იმისთვის, რომ მან სამხედრო პატივი („ჩესტი“) არ მისცა პირველს. ამ დანაშაულისათვის სასამართლომ მხოლოდ მოკლე ვადით „საპატიო საპყრობილეში“ ჩასმა გადაუწყვიტა კადეტს, ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა სალდათებმა უნტერ-ოფიცერი გალახეს სასამართლომ ექვსი წლით არესტანტთა გამასწორებელ რაზმი მიუსაჯა. აშკარაა უფროსის უბრალო შეურაცყოფა უფრო მძიმე დანაშაულია, მისი პატივი ბევრათ უფრო ძვირფასია ვიდრე სალდათის სიცოცხლე.

აი ასეთია მილიტარიზმის და „დისციპლინის“ შედეგი გერმანიაში!

საფრანგეთის შინაური ცხოვრებიდან ბევრი არაფერი გვექნება აღსანიშნავი. იქ ისევ კომბის სამინისტრო მოღვაწეობს და მოქმედებს; ებრძვის კლერიკალიზმს და ნაციონალიზმს ე. ი. მოპოებული პოზიციის შერჩენას ცდილობს, წინ კი მაინც დამაინც ვერ მიდის, და ვერ მიდის უმთავრესათ იმიტომ რომ ეს ჩვეულებრივი (საფრანგეთში) კოალიციური სამინისტროა, რომლის მომხრეები ძლიერ განიჩევიან სამოქმედო პროგრამით. მაინც, ერთი მეტათ სერიოზული კითხვა აქვს წამოყენებული თანამედროვე სამინისტროს—სწავლის თავისუფლება სახელმწიფოში, თუმც ვერ ვიტყვით რომ ის სავსებით იცავდეს ამ პრინციპს და გაყავდეს ის ცხოვრებაში. ასეთათ მიგვაჩნია ჩვენ ბერების კონგრეგაციებს წინააღმდეგ მართო რეპ-



რესიული ზომებით ბრძოლა. თავისუფლების პრინციპი ისეთი ფაქიზი რამ არის, რომ მისი ხელის შეხება მეტათ ფრთხილი უნდა იყოს თუ კი სულა ითმენს ასეთ შეხებას იგი, თორემ უამისოთ დღეს თავისუფლების გასამტკიცებლათ ხმარებული რებრესია ხვალ დესპოტიის იარაღათ გადაიქცევა. აღსანიშნავია ამ სამინისტროს მიერ წამოყენებული კითხვა ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევების შესახებ, რომლის დედა აზრი ის არის, რომ თუ ეკლესია და სარწმუნოება თავისუფალი სინიდიის და მამაკაყოფილებელი ინსტიტუტია, არც მისი შენახვა და დაცვა უნდა იყოს აგებული ძალდატანებაზე, მისი პატივისცემა ხალხის ანუ კერძო ადამიანთა კეთილის ნებისაგან უნდა წარმოსდგებოდეს. აი ამის განხორციელებას გვიბრძობა კომბის სამინისტრო საფრანგეთში.

სოციალურ რეფორმებში აღსანიშნავია კანონი მოხუცთა, შრომის შეუძლებელი და განუკურნავი სენით შეპყრობილთა უზრუნველყოფის შესახებ, და აგრეთვე ჯარში სამსახურში ვადის ორ წლამდე შემცირება. უკანასკნელი კანონი (ჯერ უფრო პროექტის სახელი შეფერის) მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტ რიცხვს ახალგაზრდობას თხოულობს გაძლიერებული მილიტარიზმი, რადგან რამდენათ უფრო გრძელია ჯარში სამსახურის ვადა, იმდენათ უფრო მეტი ძალა ეკარგება ხალხს უმოქმედოთ და უსარგებლოთ. ამიტომ ყოველი ამგვარი ცვლილება ბიჯის წინ გადადგმა და სიამოვნებით აღსანიშნავი.

ბ. ე-ლი.

### წერილი ქიათურიდან.

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

როგორც მოეხსენება მკითხველს, ამ წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში ეგრედ წოდებული 2 იენისის კანონი, რომლის ძალითაც ყოველ მადნებში და ფაბრიკა-ზავოდებში უბედურ შემთხვევაში დასახიზრებულ მუშებს ეძლევათ განსაზღვრული პენსია-სარჩო. ამ კანონმა დიდთ დააფიქრა კაპიტალისტები, მით უმეტეს, რომ ამ კანონის ძალით არამც თუ თვით მუშა ღებულობს პენსიას, არამედ მისი ცოლშვილიც, დედ-მამაც და სხვა მახლობელი ნათესავეები, რომელთაც მუშა არჩენდა თავისი შრომით.—ღებულობენ აგრეთვე პენსიას ყველა მოსამსახურე პირები ფაბრიკა ზავოდებში და მადნებში, რომელთაც ეძლევა წლიური ჯამაგირი არა უმეტეს 1500 მანეთისა. იმდენათ შეაშფოთა ამ ახალმა კანონმა კაპიტალისტები, რომ ტელეგრამები და თხოვნებიც კი გაგზავნეს მაგ. ჩრდილო-აღმოსავლეთის კაპიტალისტებმა სამინისტროში. ვიღუბებით და, თუ სულ არა, ერთი წლით მაინც შეაჩერეთ ამ კანონის შემოღება. ერთი წელაწადი მაინც კიდევ გვექნეს წინანდელი უფლება, მათ ამით არაფერი გაუჭირდება და ჩვენ კი... ჩვენ სულ სხვა ხალხი ვართ და სხვა სისხლი გვაქვსო. მაგრამ სამინისტრომ ყურად არ იღო მათი ვედრება და კანონი კანონათ დარჩა. ამ უქაყების წინეთ ქიათურულგებსაც ქონდა კერძო მოლაპარაკება ამის შესახებ ბ. ზდანოვიჩის წინადადებით. ბევრი იბასეს:—ზოგმა თქვა: ავით კაპიტალისტმა უზღოს მუშას ყველაფერი;—ზოგმა: საბჭომ დაახლევოს რომელიმე საზოგადოებაში მუშები და აძლიოს ფულები საერთო თანხიდანაო. ბევრი კამათის შემდეგ მაინც გადაწყვიტეს: ვითხოვოთ სამინისტროში, რომ არა ჩვეულებრივი კრება დაინიშნოს და მაშინ გადაწყვიტოთ, თუ როგორ ვუშველოთ თავსო. (კანონის შემოღების გადაწყვეტის თხოვნა კი ვერ გაბედეს, ქონდათ კი ზოგიერთებს გუნებაში...) დღემდის შავი ქვის მადნებში მომუშავენი საბჭოსაგან დაზღვეული იყვნენ საზოგადოება „როსია“ში, რისთვისაც საბჭო ყო-

ველ წლიურათ იხდიდა 6000 მანეთს; დაშავების შემდეგ მუშას ეძლეოდა იმის მიხედვით ერთ ღროული შემწეობა, თუ ვინ როგორ დაშავდა, ზოგს რამდენი დანაშაული ჰქონდა მხოლოდ ამ ფულის აღებაც დიდ შრომას ნიშნავდა თხოულობდა, რადგან საზოგადოება „როსია“ ერთბაშათ არ თანხმდებოდა საბჭოსგან მოთხოვნილს ფულის რაოდენობაზე და ამის შემდეგ დიდი მიწერ-მოწერა შეიქნებოდა ხალხმე საბჭოსა და „როსია“ შორის. აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნო ერთი ფრიად სამწუხარო მოვლენა: საბჭოს გარეშე დათარგმობენ რაოდენიმე არა მკითხე მოამბე—აბლაკატები, რომლებიც არწმუნებენ გუბუბრყვილო საბრალო მუშებს, რომ თუ მათ (მუშებმა) არა დახარჯეს რა, ესე იგი, პირდაპირ რომ ესტყვათ, ქრთამი არ მისცეს საბჭოში მჯდომარე პირებს, რომლებთანაც ეს აბლაკატები თითქოს კარგ განწყობილებაში არიან, არაფერი არ გამოგა და კიდევ რომ იქნეს, რამე მეტათ უმნიშვნელო იქნება. მუშებიც სამწუხაროთ ემბიან მახეთი. აძლევენ მათ ვეკილობებს და ელიან დაუსრულებლათ შეველას. ბოლოს, როცა საქმე უმისოდაც გადაწყდება, აბლაკატი ფულს თითონ იღებს ჯიბეში, ვითომც ეს მას ქრთამათ დაეხარჯოს. ეს გარემოება, რასაკვირველია, ძალიან ცუდათ მოქმედობს ნივთიერთ მუშაზე და კიდევ უფრო ალატაკებს ისედაც ღარიბს. დროა საბჭომ მიაქციოს ამ ბოროტებას ყურადღება, თუ უნდა თავის სახელს ჩირქი არ მოსცხოს და თანვე მცირე ოდენი სამსახური მაინც გაუწიოს ისედაც უყურადღებოთ დაგდებულს ქიათურის მუშებს. 2 იენისის კანონის ძალით დაშავებულ მუშას ეძლევა განსაზღვრული პენსია, იმისდა მიხედვით, თუ რას ღებულობდა ოტი წლიურათ: ეძლევა აგრეთვე შემწეობა მის ცოლ-შვილს; მცირე-წლოვანს ძმას, მოხუცებულს დედ-მამას. ესლა საქმე იმაშია თუ როგორ უნდა მოეწყოს საქმე, ისე, რომ დაშავებული მუშა და მისი სახლობა უპენსიოთ არ დარჩეს? თუ დავაზღვევთ ისე რომელიმე საზოგადოებაში, მაშინ საჭიროა არა 6,000 მან., როგორც დღემდის, არამედ ოთხჯერ და ხუთჯერ მეტი, რადგან საზოგადოებებმა 2 იენისის კანონის თანახმათ უნდა დააკმაყოფილონ დაშავებული მუშები და გაცილებით მეტ „რისკს“ იღებენ თავის თავზე, ვინემ დღემდის!.. ასე რომ რომელიმე საზოგადოებას რომ 30.000 მან. მივსცეთ დასაზღვევი, ჩვენ ცოტა რამ დაგვრჩება სხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, რადგან საბჭოს დაახლოვებით წლიურათ 100,000 მან. შემოდის და 50,000 მან. მარტო მოსამსახურეების ჯამაგირებს არ ყოფნის, როგორც ეს ხარჯთ აღრიცხვაშია ნაჩვენები? ჩვენ მაშინ მხოლოდ 20,000 მან. გვრჩება და აბა რას გააკეთებთ მით, თუ დღემდე უამისოთაც ვერაფერს ვაკეთებდით? შეიძლება სხვანაირათ მოეწყოს საქმე: კაპიტალისტმა თვითონ იხადოს მის მადნებში დაშავებული მუშის საზღაური. 2 იენისის კანონიც სწორეთ იმას ამბობს, რომ ყოველი კაპიტალისტი ვალდებულია უზღოს მუშას ნაზარალევი. მაგრამ სამწუხაროთ ქიათურაში ეს მოუხერხებელია, რადგან აქ იმისთანავე არიან, რომელთაც რამდენიმე თუნის მოხერხება არ აქვთ და აი სწორეთ იმათ მადნებში უფრო ხშირათ ხდება უბედური შემთხვევები. მართალია, კანონი ძალას დაატანს მას, მაგრამ თუ გინდ დაახვეთ, მაინც ვერას გაღიხდის, რადგან არაფერი აქვს. ამნაირათ მუშები მათგან ვერაფერს მიიღებენ დაგვრჩენი ერთათ-ერთი საშუალება: საბჭომ უნდა გადაღვას თანხა 10—15 ათას მანეთამდე ამ თავითვე და თვითონვე აძლიოს საზღაური დაშავებულ მუშებს. ჩვენის აზრით ეს თანხა საკმარისი იქნება დაშავებული მუშების დასაკმაყოფილებლათ. ამასთანავე კრებაში უნდა ითხოვოს სამთო სამართველოში, რომ აღვიღო-



პრივმა სამთო ზედამხედველობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ტუნელების გამაგრებას, ლაღალის მტეიგერებს, რომ ყოველ ღვე იარაღს მანდებში და შესაღერი დარიგება მისივე ვისაც ჯერ არს ამის შესახებ. დღეს კი თვეში, შეიძლება, ერთხელაც არ ავიდეს მტეიგერი მანდებში. ით უფრო მოსახერხებელია ეს, რომ მტეიგერები საბჭოდგან იღებენ ჯამაგირებს და, მშასაღამე, ვალდებული აღიან დაეხმარონ მანდების პატრონებს. დაველოდოთ მტეიგერებს აგრეთვე, რომ ყველანი თავის რაიონში ცხავრობდნ და და პიათორაში, საიდანაც ზოგიერთი მანდები. 2-2 ვერსის სიშორეზეა დაშორებული.

აი ჩვენი მოსაზრება მუშების დაზღვევის შესახებ და ვნახოთ, როგორ გადაწყვიტოს მას მომავალი, არა ჩვეულებრივი კრება, რომელიც ამ ერთ თვეში უნდა მოხდეს. იმედია, რომ ამ სერიოზულ კითხვას სერიოზულათ გადაწყვეტენ, მით უმეტეს, რომ ამ კრებაზე კენჭის ყრა აღარ იქნება კ. მოდებამე.

# ოცნება

(ეტიუდი)

მე ავითმყოფს განა შემოძლია ესთქვა მე ცოცხალი ვარ, მეც მიჩქეფს გული, როცა ჩემს გარშემო ყველაფერი მკვდარია?! მძაფრ სიცივეს ყველაფერი თავის მაგარ რკინის მუხრუჭებში ჩაუგდია, თეთრ სულარაში გაუხვევია და სული და გული ამოუცლია... სქელი, გაყინული ჰაერი ლოდივით აწევს თავზე ტანჯულ ქვეყანას და მას არ ძალ-უძის ერთხელ მაინც დაინახოს მოკრიალებული ცა, ბრწყინვალე მზე და დასტკბეს მათი მზერით. „...არსაიდან ხმა, არსით ძახილი“... თითქოს ყველაფერი საღათას ძილს შეუპყრია. სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ მშვიერი მგლის ყმულილი არღვევს... ოცნება... მხოლოდ ოცნება! ყველაზე უმშვენიერესი, ყველაზე უტკბესი დღეს მხოლოდ ოცნებაა. ის მიდგამს სულს, ის არის ჩემი განუშორებელი მეგობარი. მხოლოდ ოცნებას შეუძლია, რამდენიმე წუთით მაინც მომაშოროს ამ ჯოჯოხეთურ ცხოვრებას... ჩემს პატარა ქოხში სარკმელთან დაყუნტული გაყურებ ბუნების ასეთ მრისხანე მოქმედებას და გული მიკვდება, რომ არ ძალმიძს გავიდე გარეთ და ხარბათ დავეწაფო წმინდა ჰაერს აქ ამ პატარა გალიაში, ამ მყრალ ჰაერში უნდა დავლიო დღენი მწარენი. ჩემი მოშლილი ორგანიზმი ვერ გაუძლებს ასეთ სურათებს, ჩემ მოდუნებულ ნერვებს აღარ შეუძლია ყოველ დღე ასეთი სასტიკი პირობების ატანა. ასეთ მოშხამულ დროს მხოლოდ ოცნებას შეუძლია შეიტანოს სხვა-და-სხვაობა ჩემს ამდორებულ ცხოვრებაში... მაშ, ისევ ჩემო ოცნებავ! მოდი, მომხევიე, მიმიკარ გულზე, გასწი შორს, შორს, იქსადაც ერთ დროს, მომავლის იმედებით აღტაცებული შეესტრფოდი ცას და ქვეყანას... სადაც მეტის სიამოვნებით აღტაცებულ გულს სანეტაროთ გაუღიოდა დაგა-ღუგი... გამწი შორს, რამდენიმე წუთით მაინც მომაშორე ამ მკვდართა სხვანეს. რამდენიმე წუთით მაინც დამიტკბე მოშხამულ-მოწამლული სიცოცხლე. გავქანდეთ, როგორც ქარი, როგორც გრიგალი გადავთელოთ ზღვანი და მთანი... აჰა, საიანის, მრისხანე, თოვლით შეღვსილი მთები. ესეც მონღოლია და ბუდისტთა წმიდათა წმინდა ქვეყანა ტიბეტი. აბა ოცნებავ, თვალი გადავაგლოთ „მზეთუნახავ“ დალაილამას. ოჰ! როგორ პირქუშათ გამოიყურება!! მის ღვთიურ სახეს, რომ არ შეშვენის ასეთი მრისხანე გამომეტყველება?! ნეტა რა მოუვიდა?! ჰო! მართლა ყველა ეს კერზონის ბრალია. მის თავხედურ ექსპედიციის გამო დალაილამა წყვეა-კრულვას უგზავნის ინგლისის პოლიტიკას.

აჰ! ოცნებავ დროა გავსწიოთ... აჰა! ზღვანი... ოჰ! როგორ ჩქარა გადავადღეთ ეს წყალთა საშეფო. ერთიც აი იმ თოვლით შეღვსილ პთას გადავატეთ დაქვერ შემოქმედებში შემოძლია, ჩემო ოცნებავ დავათვალიერო მანდების მანდები ოჰ! ნეტარებავ! როგორ თბილა აქ. ჩემ გაყინულ სხეულს სიცოცხლის ნიშნები დაეტყო, სისხლი ამოქრავდა. ნახი, აყვავებული ბუნება თვალის წარმტაც სურათს წარმოადგენს. სუნნელებით შეზავებული ჰაერი ნექტარივი მივლის სულსა და გულში. აი სად დღეს და გადადღეს სიცოცხლე, აი სად სცენა ხარღვი. ხალხი ფუსფუსებს. ყველას, რაღაც აინტერესებს. აი დიდი ლამაზი ქუჩაც. სადღესასწაულოთ მორთული ხალხი ქუჩაში გამოფენილა. ყველა აღვრთოვანებულია. ყველა, ლოკას გულის ფანქალით მივლის. აი დაიძრა ხალხი, გაისმა მქუხარე ხმა და მკაცრ აღვრთოვანებული გადავირე აზვირთებულ ტალღებში და ჩემი სუსტი ხმაც შევეუერთე მათ მედგარ ხმას... მაგრამ, ოჰ! ქრება ოცნება! ვხედავ და თვალებს არ ვუჯერებ, ჯერ კიდევ ოცნებაში მგონია ჩემი თავი. ჩემი ოთახის კარები იღება და ჩემსკენ ტარტაროზის შიკრიკი მოეხეტება. აი თავისი ტლანქი, ბინძური ფეხები კიდევ გადმოაბიჯა კარის ზღურბლს გესლიანი, გველური ღიმილით, თავისი გამოკუჭული თვალებით მომჩერებია...

„— შინა ხართ?“—ჰო შინა ვარ! სატანავ! ჯოჯოხეთო! აუდა ისკარიოტელო! შინა ვარ! შინ! მოდი, რომ დასტკბე ჩემის ტანჯვით?! მოდი, რომ ერთის წუთის ოცნებითი ბედნიერება მომიწამლ-მომიშხამო?!.. გასწი! გასწი! შე სახიზღარო! შე ადამიანის აჩრდილო! შეგიძლია ქუჩიდან მიყურო, რომელიმე კუთხიდან მითვალ-თვალო და დასტკბე ჩემის ტანჯვით, მხოლოდ აქ, ამ ჩემ ქოხში შენი ბინძური ფეხი აღარ შემოდგა, თორემ! გარბის, გარბის!.. ოჰ! წყეულო! შეჩვენებული! განა ეხლაც შემოძლია ესთქვა ვცოცხლობ-მეთქი?! განა ასეთ სიცოცხლეს, სიცოცხლე ეწოდება? ყოველივეს მოკლებულს ისიც-კი არ შემოძლია, რომ რამდენიმე წუთით ოცნებით მაინც გავერთო... არ შემოძლია თავისუფლათ ვამუშაო ჩემი ტვინი!.. გულში, სულში, ვინდა თუ არა ყველგან გწვდებიან, გიფათურებენ ხელს... გაქრა ოცნება! თვალწინ ისევ ის ნამდვილი ცხოვრება, ისევ ის ყინვის მძლავრ კლანჭებში სულგანაბული ბუნება. რავექნა! რით გავერთო? რით მოვეკლა ეს მწარე დღეები? აი ის ჩემი მეგობარი როგორ სძინავს! საწყალი! ვინ იცის, რას ხედავს სიზმარში? მაგრამ აბა, გაიღვიძე ძმობილო! ადექ! აბა გადავხედოთ ამ თოვლით შეღვსილ უსულ-გულო ბუნებას; ვიცი როგორ მოიქუშება შენი სახე. აი ის ადგილიც რომლის დანახვა ჩვენ ყველაზე მეტათ გვეჯავრება. შეხედე, როგორ განმარტოებით დგას და თავ-პირი ჩამოსტირის, თითქოს დარაჯათ უდგეს ვინმეს. დიახ! ის დარაჯია. იქ განისვენებენ მრავალტანჯულ ადამიანთა ძელები. იქ სასაფლაოა... ვინ იცის იქნება შენი ბინაც იქ იყოს. იქნება იმ სახლს ვერც კი გაშორდეს და თავზე დაგაკვდეს შენი ოცნება-იმედები... მაშინ... მდელითა შორის ტიალი მინდვრის შავი ყორანი გამითხრის საფლავს... და... სატროფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა დაგეცემიან ციურნი ცვარნი... ჩამწივის იღუმალი ხმა... ოჰ! არა, შორს შავო ფიქრებო? შორს ჩემგან. მე მინდა კიდევ ვიცოცხლო. მე მინდა კიდევ ვიგრძნო, თუ ვინდ ერთის წუთის ბედნიერება. ვავრკინდები, გავსალკლდევდები, შევებრძოლები თვით ჯოჯოხეთს, ოლონდ ერთი წუთით ვაჩვენო ჩემს მტრებს, ვაჩვენო, რომ კიდევ ცოცხალი ვარ და მზათ ვარ ჩემი სუსტი მკლავით სასიკვდილო ლახვარი დავსცე მათ ბორბლებით გაქლენთილ გულს. დიახ! მინდა ვიცოცხლო, მინდა კიდევ ვნახო ის სანეტარო



მხარე, მინდა ერთხელ კიდევ ჩავერიო საერთო ფერხულში და ჩემი სუსტი ხმა შევეუერთო მათ მხიარულ ხმას...მერე... მერე კი, ჩემს ძვლებს, სულ ერთი არის, სადაც მიიღებს ცა-ვი სამარე.

3 ირეთელი.

### სხვათა შორის...

მოთხრობა

ალექსი კაკალაშვალის ნაშრომი.

I

„...ქალაქ დასავლეთის სასაფლაოზეო,—დაიწყო სხვა-თა შორის ალექსიმ,—ხელ-მარცხნივ, პაწია გორაკის ძირში, ორ მდიდრულ მატურით მორთულ საფლავთა შუა ობლათ გამოიყურება მესამე საფლავი. ამ სამარეს ლურჯათ შეღები-ლი უბრალო ქვა ადევს და ზედ მრუდვ ასოებით აწერია: „ამა ლოდსა ქვეშე განისვენებს მონა ღვთისა კირილე იაკინ-თეს ძე ფიჩხაშვილი. გარდაიცვალე 189... წ. ნოემბრის თე-ქსმეტსა დღესა, შობითგან ოცდა თვრამეტის წლისა. წამკი-თხველნო შენდობა მიბრძანეთო“.

არ ვიცი რათ,—მაგრამ როდესაც კი მომიხდებოდა ხო-ლმე ამ სასაფლაოზე ყოფნა, ყოველთვის ვნახულობდი ფიჩხა-შვილის სამარეს, დიდხანს დავსტკეოდი უწვრთნელის ხელით ქვაზე ამოჭრალ ასოებს და ათასგვარის ფიქრებით ვარემო-ცული ჩემდა უნებურათ ვბუტბუტებდი ხოლმე: „ღმერთმან შეგინდოს შეცოდებანი“—მეთქი.

„მე არც მღვდელი ვარ, არც დიაკონი, მაგრამ სასაფლა-ო იმათზე ნაკლებ არ მიზიდავს. ცხოვრების სიახლოე და წვრილმანობით გაბაროტებული, ხშირათ წამოვავლებ ხოლმე ქუდს ხელს და დაბარებულივით სასაფლაოზე მივეშურები. გიყვარს ეს მკვდართა ქალაქი! იგია ერთად ერთი ადგილი, რომელიც ყოველთვის მამშვიდებს და მაგონებს ჩვენს არარა-ობას, ჩვენს წუთის სოფელს! ერთ ერთ საფლავის ქვაზე ჩამომ-ჯდარი ხშირ ბინდამდის გავყურებ ხოლმე სასაფლაოს და ჩემი აზვრთებული გულის თქმა ნელ-ნელა წყნარდება, ღმო-ბიერდება და თითქოს ვურიგდები კიდევ ჩემ ბედს.

მართალია, ადამიანთა უსწორ-მასწორო ცხოვრებას სასა-ფლაოს გარეგნობისათვისაც დაუჩინებია თავისი კვალი, აქაც სიმდიდრე და სიღარიბე სუფევს: ძვირფასის ძველ-მატურების გვერდით ნაღვლიანათ გამოიყურებიან უბრალო საფლავის ქვები ღარიბთა მიცვალებულებისა, აქაც შეამჩნევთ ერთისა-გან მეორის დაჩაგვრას, ნახავთ, რომ დიდებულ მოაჯირს, ყვავილებითა და სურათი მორთულ ერთის სამარეს სრულიად დაუჩრდილავს უბატრონო სამარე მეორისა, მაგრამ თვით დე-და აზრი სასაფლაოსი,—ის გარემოება,—რომ მდიდარი და ღარიბი, წარჩინებული და მდაბიო, მილიონერი და გლახაკი, ყველა, ერთ ბედს სწევინ და ამ ერთ ციდა ადგილზე მტვრა-თა ქცეულან, გავიწყებთ ზედამჩროთა გაუტანლობას და გულ-დამშვიდებით გაფიქრებინებთ, რომ დღეს თუ არა ხვალე მაინც, შენც გვერდით მოუწევები ამ მიცვალებულებს და და-აცრებული სასაფლაოს გააპოხიერებ.

— მაშ რა არის ადამიანი, რა არის ცხოვრება? ეკითხე-ბი შენ თავს და დიადი საიდუმლოებით თავზარ დაცემულს სუნთქვა გეხუთება, ურჩი გონება გიჩლუნგდება, გული გეკუ-მშება, ძარღვებში სისხლი გეყინება და სახეზე ნაღვლიან ღი-მილ გადაკრული შენდა უნებურათ ჰფიქრობ: არარაობა, არა-რაობაო!..

— მაშ რაღა გაბობოქრებს, ადამიანო! რათა ხარ გულ-ზეიადი, ცოუ, მატყუარა, ბატონი, მონა, მდიდარი, ღარიბი?

კვლავ ეკითხები შენ თავს პირში ნერწყვ გამშრალი და საშა-რებს უფრო და უფრო აცქერდები. საფლავნი კი სდუმან, სდუმენ უდიერათ, ურჩობენ პასუხის მოცემას, ~~და მშენებელი~~ მხარ და თვალზე დაღებული ზედ მეტათ შეგაძლიან ~~და~~ ვიდრე ისინი, რომელნიც მშვიდათ განისვენებენ უზარმაზარ ლოდებსა და ცივი მიწის ქვეშ.. სადღაა მაშინ შენი ამპარ-ტავენება, შენი „მე“? იგი მარტო ბაქიაობათ, მარტო თავის მოტყუებათ და გეჩვენება!!..

— შენ ბალახი ხარ, მოვა ვირი და მოგძოვსო! გამახ-სენდა ცინიკური ახსნა ჩემის არსებობისა ერთის ჩემის მეგობ-რისაგან განმარტებული და მწარეთ გამეცინა. ახლაც სასაფ-ლაოზე ვიყავ, ფიჩხაშვილის სამარესთან მალალ ბალახებში წა-მოწოლილი და ჩვეულებრივათ ვფიქრობდი.

— დიდი ხანია აქა ხართ-ო?—შემეკითხა მაშო, რომელიც ჩემდა შეუმჩნევლათ თავზე წამომდგომოდა.

ადამიანის დანახვამ, ჩემი ადამიანობა, ჩემი „მე“ კვლავ გამახსენა და თვალის დახამხამებაზე ხორცი შევისხი, აზრები მოვიკრიბე, გულმა სიამოვნებით ცემა დამიწყო და ჩემკენ გა-მოწვდილი მაშოს ფუნთუშა ხელი მაგრა ჩამოვართვი.

მართლა, შენ ხომ ჯერ არ იცი, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ ჩემი ყოფნა, ჩემი სულიერი და ხორციელი მდგომარეობა ძალზე შეიცვალა.

ახლათ სწავლა დამთავრებული დიდის რიხით ჩავები ცხო-ვრების ფერხულში, მაგრამ ის, რაც მესწავლა და წამეკითხნა, ცხოვრებისათვის გამოუსადეგარნი აღმოჩნდნ და ნელ-ნელა დავეგორდი ოცნების მთიდან.

„პირველ ხანებში ცოტა არ იყოს ეუმკლავდებოდი მი-წიერ გულისთქმათ, მაგრამ უბრალო მომაკვდავმა ბრძოლას ველოარ ვავუძელ და მეც იმ გზას დავადექ, რა გზასაც უმრა-ველესობა ადგია... გაჩინოვნიკდი. ყოველათ-კეთილ-საიმედოა ჯამაგირს კარგს ვიღებ, შნოიან ახალგაზდას გასათხოვარი თუ გათხოვილი ქალები თავს მევლებიან და განგებ დაბრძავებულ-დაყრუებული, მეც ისე ვატყუებ ქვეყანას, როგორც მე მო-მატყუა ცხოვრებამ. მართალია ათასში ერთხელ სინიდისი მქე-ნჯნის ხოლმე, მაგონებს რა ჭბუკურ წმინდა იდეალებს, ვგრძნობ ხოლმე, რომ ყველაფერი ჩემი სიმხდალის ბრალია, მაგრამ ამ დროს ან ღობე ყორეს ვედები, ან არა და სასაფ-ლაოზე გავრბივარ ხოლმე ჩემის არარაობის გასათვალისწი-ნებლათ. ერთის მხრით დიდი უბედურება კია ასეთი ყო-ფნა!..

„ჩემის გაჩინოვნიკების დროს მაშოსაც დიდი უბედურე-ბა მოსვლოდა: საყვარელი ქმარი მოკვდომოდა და მისის სა-მარის სანახავათ ხშირათ უხდებოდა სასაფლაოზე სიარული. მძიმე შავებით მოსილი, მიუჯდებოდა ხოლმე ფიჩხაშვილის სამარის მარჯვნივ მდგომარე მატურს და ქვაზე თავის-წყვეტე-ბით დიდხანსა სტიროდა...

„პირველათ ყურადღებას არ ვაქცევდი მაშოს, მაგრამ ერ-თი ორჯელ მისი ნამტირალევი თვალები რომ შეხედენ ჩემსას, რაღაც სიტომამ დამიარა სხეულში და მას შემდეგ გულგრი-ლათ ვეღარა ვუმზერდი მაშოს ტანჯვას. ალბათ ქვრივიც ხე-დავდა ჩემს მისდამი თანაგრძნობას და მალლობის ნიშნათ ნა-ღვლიანათ მათვლიერებდა ხოლმე.

„ერთხელ, ტირილით დაოსებული მაშო დიდხანს იყო მატურის კვარცხლობეკზე დამხობილი. შემოვლამდა. ხალხის ფეხის ხმა მისწყდა. სასაფლაოს დარაჯებიც კი აღარსადა სჩანდენ. საშინელმა სევდამ და სიჩუმემ მოიცვა მთელი სასა-ფლაო. მე გულმა კენესა დამიწყო,—შემებრალა მგლოვიარე ქალი და როგორც იყო გავებდე მასთან მისვლა.

— აბრძანდით, ქალბატონო! მეტის მწუხარებით რას მო-უმატებთ-მეთქი. ზრდილობიანათ ვუთხარი მაშოს და ხმა ამი-



კანკალდა... იმ ჟამათ გუწრფელათ თანავუგრძნობდი მაშოს უბედურებას.

მაშო შეკრთა, მწარეთ დაიგმინა და ქვითინით წარმოს-თქვა:

— ოხ, რომ იცოდეთ, რა უბედური ვარ, რა უბედუ-რიოა?!

— რას იზამთ, ბატონო სიკვდილი ყველას თავს არის მეთქი, გულმტკივნეულათ ვანუგეშე იგი და ვურჩიე შინ წა-სულიყო.

„მაშო ხმა ამოდებლივ წამოდგა, ერთხელ კიდევ დააშ-ტერდა მატურზე მარმარილოსაგან გამოქანდაკებულ ანგელოზს, „ვაი-მეო!“ წაილულლულა და გამოტრიალდა. მგონი მხო-ლოდ მაშინ შენიშნა მაშომ, რომ დახშირბინდებულიყო. ერთ ხანს შესდგა, ცრემლით სავსე თვალები შიშით შემოავლო მიდამოს და სახის ისეთი შეძრწუნებული გამომეტყველება მი-ილო, რომ მე უნებურათ ავედევნე და სასაფლავოს ალაყაფის კარებამდის მივაცილე. აქ მაშო ჩაჯდა ეტლში, მადლობის ნიშნათ თავი მორცხვათ დამიკრა; შავი ძაძა სახეზე გადმოი-ფარა და გასწია. მეც გავუდექე ჩემ გზას. ამ დროს ვფიქრობ-დი კაცთა ურთიერთობაზე, სიყვარულის უკვდავებაზე და ბე-დნიერათა ვგრძნობდი ჩემ თავს, რომ დაობლებულ შეყვარე-ბულს სასაფლავოს მიერ ღამით აღძრული შიში მაინც არ ვა-გრძნობინე.

II

„მე და მაშო უკვე გავცანით ერთმანეთს და არ ვიცი განგებ თუ შემთხვევით, სასაფლავოზე სიარულს უფრო მოვუხ-შირეთ. მაშო ჩვეულებრივ თავჩაღუნული სტიროდა ხოლმე ქმრის მატურთან, მე კი ფეხ-აკრფით დავხეტიალობდი ახლო მახლო საფლავთა შორის და ცალი თვლით რომ წარწერებ-სა ვკითხულობდი, მეორეთი—გეშათ გავცქეროდი ხოლმე მა-შოს. რათ მემართებოდა ასე, გადაჭრით ვერ გეტყვი, მაგრამ ჩემი მისდამი მისწრაფება, მარტო მაშოს მგლოვია-რობის ბრალი არ უნდა ყოფილიყო!..

„არც მაშო დარჩენილა უცვლელათ, თუ კი თვალს შემასწრობდა, როდესაც მე მას ვუყურებდი, ისე გაიღიმებო-და ხოლმე გეგონებოდა მოღრუბლულმა ცამ გამოიდარაო. მისი ამგვარი ღიმილი გამბედავობას მიმატებდა და თამამათ გამოველაპარაკებოდი ხოლმე.

„ — ნუ სწუხდებით, ყმაწვილო, მე ველარაფერი მანუგე-შებსო,—მალი მალ მეტყოდა ხოლმე მაშო, როდესაც მთე-ლის ჩემის ძალ-ღონით ვცდილობდი გამომეფხიზლებინა იგი, მენუგეშებინა. მაგრამ რაც დრო გადიოდა ჩვენ ურთიერთო-ბას რაღაც სიახლოვე ემჩნეოდა. ერთმანერთის შეხვედრა, ერ-თმანართთან საუბარი მოთხოვნილებათ გარდაგვექცა. დაბო-ლოს დავმობილდით კიდევ.

„ დამობილება კი ჩემი აჩქარების ბრალი იყო!

„ ერთხელ ისე გამიტაცა მაშოსთან ლპარაკმა, ისეთი აღტაცება მაგრძობინეს მისმა ნაწვიმარმა ჟუჟუნა თვალებმა, რომ უნებურათ მკლავი-მკლავში გავუყარე და გატაცებით შევაშტერდი სახეში... მაშო აღვის ხესავით შეირხა, წყნარის მოძრავობით შოიშორა ჩემი ხელი და ცოტა წამოწითლებულ-მა, მგონი, საყვედურის თვლით შემომხედა. მისი ეს მოძრა-ვობა მართალია წუთიერი იყო, მაგრამ მე ლახვარივით მომხე-და გულში და მაფიქრებინა, რომ უდიერათ შეუსაბამოთ მო-ვიქეცი. რითი უნდა გამესწორებინა ჩემი საქციელი, აღარ ვიცოდი! თავდახრილი ერთ ხანს უსიტყვოთ ვიდექი მაშოს წინ და ჯოხით მიწას ვჩიჩქნიდი.

— რაღას გაჩუმიდით, ყმაწვილო-ო? დაარღვია სიჩუმე ისევ მაშომ.

— არაფერს!.. მგონი თქვენ შეურაცხყოფათ მიიღეთ ჩე-

მგან ხელის შეხება... ღმერთს გეფიცებით რასავით ვაყუ-რებთ-მეთქი!—წამოვისულელო და ყურებამდე გაწითლებულმა თავი უფრო ძირს დაეხარე.

— თქვენისთანა ძმის ყოლა დის სიამაყელს ღიმილივით მითხრა მაშომ და ისეთი თვლით შემომხედა, რომ წუმწუმასა-ვით ავენთე. ამ წუთას მომწყურდა მისი გადაკოცნა და მისი სამუდამოთ დაკარგვის შიშიც რომ არ აღმძვროდა მარწყვივით გადავკლაპავდი მაშოს გიშერა თვალებს.

— მაშ, შენ დაე და მე ძმა მეთქი! არ ვიცი რისთვის წამოვროშე და მაშოს ხელი გავუწოდე.

— ძალიან სასიამოვნოაო! ღიმილითვე მიბასუხა მაშომ, ხელი მაგრა ჩამომართვა და განმშორდა... შინ მიეშურე-ბოდა.

„ მე კი დიდ-ხანს ვიდექე ერთ ადგილს და ნაგრძობ-ნა-ლაპარაკევით თავს-ბრუ დასხმული ვბუტბუტებდი:

„რავდენ სისულელეს ჩმახავს-მეთქი-ტენ ამღვრეული ადა-მიანი!

III

„ გავიდა რამდენიმე დღე: სამსახურისა გამო სასაფლავო-ზე წასასვლელათ ვეღარ ვიცილიდი, მაშოს ვეღარა ვხედავდი, მაგრამ მასზე ფიქრი კი თავიდან არა მშორდებოდა.

„ ახლა ის იქ იქნება... ახლა ის ტირის... საწყალი ქა-ლი საწყალი მეთქი! ვბუტბუტებდი ხოლმე და თან ვაჩქარე-ბით „**Д.ხ.ი**“-ებს ვათვლიერებდი.

„ უცბათ, „საქმების“ ფურცელსა და ფურცელ შუა გამომეცხადებოდა ხოლმე ჩემის ღობილის სურათი და რამდენ-იმე ხანი შეშმიშვივითა ვხდებოდი, რაღაც ტკბილსა და მწა-რე გულის ტკივილსა ვგრძნობდი. მებრალეობდა თუ მიყვარდა მაშო? არ ვიცი ღმერთმანი! ეს კია რომ ჩემ ფიქრსა და ოცნებას შეუბრალეבלათ ჰბორკავდა მაშოს მშვენიერი სახე, ჯვირანი-ვით მოღერებ-ლი ყელ-ყური, ზღვასავით მღელავი მისი გედი-სებური მალალი და ფართო გულ-მკერდი, ლერწამის კონასა-ვით შეკრული ტანი, ცრემლით დანამული მისი შავი ჯილა თვალები და... მთელ სხეულში ნეტარების ჟრუანტელი მივ-ლიდა!

„ იმ დღეს, რა დღიდანაც ჩემი ამბავი იწყება, დიდი უსიამოვნება შემხვდა ჩვენის უფროსისაგან: რაღაც უმნიშვნე-ლო მიწერ-მოწერა მომთხოვეს. ბევრი ვეძებე, მაგრამ ხელათ ვერ ვიპოვე. ჩემი უფროსი გაცოფებული ღრიალებდა და ყველას გლო-ნძღავდა. წვრილმან მოხელეებს კინაღამ თავი მა-გიდაზე არ უცეცქევა, ხოლო მე, როგორც სტოლის უფ-როსს, საჯაროთ საყვედური გამომიცხადა და მითხრა, რომ თუ ამ ცოტა ხანში დასახელებულ ქალაქებს არ მიპოვნი, უფროსობას წაგართმევო. რაღა მეთქმოდა? ვირთავვასავით შევძვერ სტოლის უჯრებში, ასი და ორასი „**Д.ხ.ი**“-ები გადა-ვშინჯე, სამი ლიტრა მტვერი ჩავყლაპე, ოთხი ლიტრა სისხ-ლი დავღვარე და როგორც იყო ვიპოვე ის ბედ უკუღმართი ქალაქები. გულ-მოსულმა ბღვერით გადავხედე ჩემ ხელ-ქვე-ითებს და ოფლში გაწურულმა უპროსის კაბინეტისაკენ გა-ვწვიე.


„მათი კეთილ შობილება მოქურუშებული მოსჯდომოდა ძვირფასს მაგიდას და რაღაც ქალაქებს ათვლიერებდა.

— რა გნებათ? ცალი ყბით მკითხა უმფროსმა და ზედაც არ შემოუხედა.

— აი, ბატონო, ის „პერებისკა“- მეთქი! წავიბურტყუნე და დამცირებულის ღრეჭა-ღიმილით ქალაქები გავუწოდე-უმფროსმა აღმაცერათ გადახედა ქალაქებს, უკანვე გადმომიყარა და მითხრა.

— საქირო არა ყოფილაო!





ამიკაცგონებაზე სისხლი თავში ამივარდა. ერთით მზათ ვიყავ თავზე ღრამფხვრიწნა მისთვის ეს ქალაღდები, მაგრამ თავი შევიკაო და მთლათ აცახცახებული უკან გამოვბრუნდი... აღვიღის დაკარგვამ შემაშინა! კანცელარიაში რომ შევედი. ჩემი გადამწერლები საფანტ ნაკრავ ჩიტებივით ქაქანებდნ და სახეზე შემოხედვას ველარ მიბედ-ვდენ. ნაღვლიანათ გადახე-დე მათ და გული მომიკვდა, რომ ყველა ასე მშიშარა და დაბრეყვებულნი ვიყავით. ლუკმა-პურის მონა და სხვის ხელის შემაყურებელი ადამიანი ზიზღისა თუ არა, სიბრალულის ღირსი მაინც არის!...

„სამსახურში დიდ ხანს გული ველარ მოვიბრუნე და არადგანაც მეცადინეობის გათავებამდე კიდევ ბევრი დრო იყო დარჩენილი, თავის ტკივილი მოვიგონე და შინისკენ გამოვწვიე.

ამ გვარ ყოფნაში კარგია მეგობარი, დამამშვიდებელი, და ნასადილევს სასაფლაოვსკენ გავწვიე, მაგრამ მაშო რომ იქ არ დამიხვდა, მძოვრთა შორის ყოფილის ადამიანებისა, მეც, ცოცხალმა მძოვრმა, მწარე ფიქრებს მივეცი თავი...

„აი ამ დროს მოსულიყო ჩემთან მაშო.  
— დიდი ხინია აქა ხართ-ო?— კიდევ გაიმეორა მაშომ და ფიჩხაშვილის საფლავის ქვაზე ჩამოჯდა. მეც გვერდით მოვუჯექი.

— კარგა ხანია-მეთქი, — ვუბასუხე მოკლეთ და დავუმატე.  
— თქვენ ახლა მოხვედით? თუ ხათრი გაქვთ, ბევრს ნუ იტირებთ, დღეს ველარ ვუკურე თქვენ ცრემლებს, უიმი-სოდაც გულ-ამღვრეული ვარ-მეთქი. ეს სიტყვები ჩემდა უნებურათ წამომცდა და რომ მაშო არ გაჯავრებულიყო, მოწიწებით შევხედე.

— მე, უკეთურმა, ტირილით რომ ველარა ვუშველე-რაო! — ნღვლიანათ სთქვა მაშომ და ჩაფიქრდა. ცოტა ხნის შემდეგ აღერსიანათ გადმოხვდა და გაუბედავათ მკითხა:

— რათა ხართ გაჯავრებული-ო?  
ისეთის უცნაურის, არა ჩვეულებრივის კილოთი იყო წარმოთქმული ეს სიტყვები, ისეთი სიტკბო და თანაგრძნობა იხატებოდა მაშოს ხმაში, რომ მე გულმა აჩქარებით ცემა დამიწყა.

— ნუ-თუ?... დავეკითხე ჩემ თავს, მაგრამ წამს ნაფიქრი, თავიდან მოვიშორე და აღვლევებულის ხმით ვუამბე ჩემი იმ დღევანდელი გაბორბტება. გულის-წყრომით მოვიხსენიე ადამიანთ ურთიერთობა, გაუტანლობა და ძალ-მომარეობა, გავკიცხე ლაჩართა უმსგავსობა და ის გარემოება, რომ კაცი, ადამიანი, მონაა ჩვეულებათა და არ ძალუძს დასთურგნოს, გაექცეს მის შემავიწროებელ ცხოვრების პირობებს...

— რას იზამთ? ცხოვრება ასეთია! ნაღვლიანათ იმეორებდა მაშო ერთსა და იმავე წინადადებას და თან გატაცებით ყურს მივდებდა. ხოლო როცა ლაპარაკი გავათავე და გამწარებით ხელი ჩავიქნიე, მაშომ აღერსიანათ მხარზე ხელი დამკრა და ახლა იმან დამიწყო ნუგეშინის ცემა.

— ნუ თუ? კიდევ გამირბინა თავში უცნაურმა აზრმა და სიამოვნებით თვალები მივლულე. იმ დროს ჩემი თავი გმირათ წარმოვიდგინე და მაშოს სიხლოვით გამხნევებულს გული სასიცოცხლოთ მიცემდა. სიჩუმე ჩამოვარდა. მე ვიგრძენ ჩემში რაღაც ახალი ძალა და აღფრთოვანებული ენას ველარ ვაბრუნებდი. მაშოც თრთოდა, ლაპარაკს ვერ ახერხებდა...

— მე მინდა ეს მატური შევაკეთებინო და თქვენ რას იტყვიან-ო? როდის, როდის დაარღვია მაშომ სიჩუმე და თავის ქმრის ძეგლზე მიმითთა.

— მე რა მეთქმის, თუ კი თქვენა გნებავთ-მეთქი.  
— მაშ კარგი, რახან თქვენც საჭიროთ ხედავთო... აღარ დაათავა სიტყვა მაშომ.

სწორე გითხრა, გავკვირდი, რომ ჩემ თანხმობაზე ყოფი-ლა დამოკიდებული მაშოს გარდაწყვეტილება და რომ ველარა მოვახერხე-რა ღიმილით ვუთხარი:

— გამადლობთ-მეთქი—ყურადღებისათვის!

— თქვენ ძალიან დიდი ამაგი დამდეთ—დაიწყო მაშომ— თქვენ რომ ჩემ უბედურებაში თანაგრძნობა არ გამოგეჩინათ, ვინ იცის რა დამემართებოდა... თქვენ ჩემი უპირველესი მეგობარი ხართ და განა თქვენი აზრი არ უნდა შეინტოვებოდეს-სო?—დააბოლოვა მაშომ და ახლა უფრო აღერსიანათ შემომხვდა.

მე გული ბუდიდან გადმომიფრინდა, თვალთ დამიბნელდა და მესამეთ კიდევ გამირბინა თავში იმ აზრმა, რომელსაც თურმე დიდი ხანია გულით ვატარებდი:

— ნუ-თუ მაშ ამაც შემიყვარა?... ნუ თუ ველირსები ამის ქუჩუნა თვალების დაკონებასა-მეთქი?... გავიფიქრე და სულ მთლათ ავირიე. არ ვიცოდი, როგორ გამემქლავნებინა მაშოსათვის ჩემი გულის-თქმა, შიში მისის დაკარგვისა და ნეტარება მისის სიხლოვისა, გამოურკვეველი აჰყო და იმედი მომავალი-ა—ჭირის ოფლში მაგდებდა, ენას მიბამდა.

მაშოც კი არ იყო თავის გუნებაზე. ხან ფითრდებოდა, ხან მისის ვარდით ლაქლქებოდა. ეტყობოდა რაღაც ბრძოლა იყო მის გულშიც.

„არის ხოლმე ქალ-ვაჟის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ვერც ერთი ენას ველარ იბრუნებს და ლაპარაკის საგანს ველარ პოულობენ. ჩვენც ასე მოგვივიდა. პირზე კლიტე დაგვედო და დამუნჯებულნი დიდ ხან ჩუმთ ვისხედით.

ბინდდებოდა, სასაფლაოვს წყვედიადი ეფინებოდა.

— საწყალი ფიჩხაშვილი! როდის როდის დაარღვია სი-ჩუმე მაშომ და ბროლის თითით ქვაზე ამოჭრილ ერთ-ერთ ასოს გასუფთავება დაუწყო.

— განა თქვენ იცნობდით ამ კაცსა-მეთქი? სიხარულით ჩამოვართვი სიტყვა მაშოს. გამეხარდა იმიტომ რომ ხშირათ ადამიანის ხმა ისევე ჰფანტავს მხეცურ ფიქრებს, როგორც განთიადი—ლამის წყვედადს.

— როგორ არა! ჩვენ სარდაფში დალია სული. საწყალმა ჩემმა ანდრომ უპატრონა უკანასკნელ დღეს... მართლა იცი რა უნდა გთხოვოთ?—გადააბრუნა სიტყვა მაშომ—თუ შეიძლებოდეს მოდით ჩვენთან და ანდროს წიგნები გადაშინჯეთ. მე იმ წიგნებისა არ მესმის-რა და ტყუილათ სცდებიან. გავყიდი მაინც... იქნება იმ წიგნებში ფიჩხაშვილის დღიურიც იპოვოთ, სადაც დაწვრილებითა თურმე აწერილი მისი თავ-გადასავალიო... ამ სიტყვებით მაშომ თავისი სადარბაზო ბართი გამომიწოდა და ჯერ მე დასტურიც არ მიმეცა, რომ სახეზე ცხვირსახოც აფარებული, იგი უკვე ანდროს მატურთან იდგა.

ისე განმაცვიფრა, ისეთ ფიქრთა ბურანში გამხვია მაშოს დღევანდელმა მოპყრობამ და ჩვენმა უხერხულმა ნაწყვეტ-ნაწყვეტმა ლაპარაკმა, თვით ჩემი მისწრაფება მაშოსადმი ისეთი ძლიერი და გამოურკვეველი იყო, რომ ვერ გეტყვი, ბევრი იტირა თუ არა მაშომ, ან იტირა-კი? მხოლოდ ის მახსოვს, რომ მთვარემ ორივეს ისევე ფიჩხაშვილის საფლავის ქვაზე მჯდომარეთ მოგვასწრო.

„საარაკო ფასკუნჯივით დაილალა ბადრმა მთვარემ შავი ღრუბლები და ქვეყანა საიდუმლოებით აავსო. სასაფლაოზე დარგულმა ხეებმა, თითქოს გაიღვიძესო, რხევა და ბუტბუტი დაიწყეს. ღამის ნიავე გრძნეულსავით დაძვრებოდა ბალახებსა და ბუჩქებში და მისი ყრუ სისინი ძრწოლით ავსებდა იქაურობას. ძეგლ-მატურთა ჩრდილოები ვეშაპივით გაწოლილიყვნენ საფლავებზე და ისე გამოიყურებოდნ გვეგონებოდათ, თვით მიცვალებულნი წამომჯდარან და საყვედურით შესცქერიან მთვა-



რესაო. ირგვლივ მყუდროება გამეფებულიყო, მყუდროება უცნაური, თავზარ-დამცემი. რალაც ყრუ გმინვა და შიში დაფარფარებდა მიდამოს, გვეგონებოდათ მიცვალბულები ოხრავენო. მთვარე კი მიცურავდა ფეხ-აკრებით და შავ-ღრუბლებს სადღაც მიერეკებოდა.

„მე და მაშო ვისხედით გაუნძრევლათ, შეგვეკრა, შეგვებოქა ბუნების სიდიადემ, მისმა უხილავმა ძალებმა, რალაც საიდუმლო და თან ნეტარმა გულის თქმამ და ადგომას ვერ ვახერხებდით. ისიც კი ვერ გავიგეთ, რომ ერთმანერთს ძალებს მივეკროდით და მხარი მხარს გადაგვება.“

„პირველმა მე ვიგრძენ მაშოს სიახლოვე. მისმა ცხელმა სუნთქვამ ლოყა ამიწვა და უნებურათ სახეში ჩავაკტერდი... ქალის სიახლოვემ, ჩემ გულში დაგუბებულმა ძალამ სიცოცხლისამ ფუჩჩივით ააპრილა მთელი ჩემი არსება, ბუმბულივით ამიტაცა გულიდან წამონაბერმა ვნებათა-ღვლევის ქარიშხალმა, გატაცებით მოვხვიე ხელი მაშოს და თავდავიწყებით დავეკონე იმის მაყვალა თვალებს... მაშოც ჩაინა ამ კოცნაში და თავისს გახურებულის ტუჩებით ჩემ ტუჩებს ეძებდა... მთელი იქ მყოფი მიცვალბულები წივილ-კივილითაც რომ წამოშლილიყვენ, გონზე მაინც ვერ მოგვიყვანდენ, მაინც ვერ დავგათმობინებდენ ამ ნეტარ კოცნასა!..“

„ალარ მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავით ამ თავდავიწყებაში, ხოლო როცა გამოვფხიზლდით, შეშლილებივით წამოვცვინდით და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი თავქვე დავეშვიეთ. მე შემრცხვა, შემეშინდა ანდრიას ძეგლისა. ალბათ ასევე მოუვიდა მაშოსაც. მოვბოდიით გამალბულნი, უკან მიხედვას ველარა ვბედავდით. ასე მეგონა მკვდრები ხარხარებენ, ხოლო ანდრია კი ნაღვლიანათ მოგვსძახის-მეთქი.“

— აი, თქვე მხეცებო, მხეცებო!

„გული მხოლოდ მაშინ დავიმშვიდე, როდესაც გადახურულ ეტლში ერთხელ კიდევ დავეკონე მაშოს მარჯანა ტუჩებს და აღზნებულის ხმით ჩაჩურჩულე.“

— მკვდრებს სამარე, ცოცხლებს კი დღევრძელობა და სიამოვნება-მეთქი!..“

მაშოც რალაცას ლულულულებდა.

ია ეკალაქე.

(შემდეგი იქნება)

### მრეწველთა სინდიკატი ჩვენში

სპეციალურ ეკონომიურ ლიტერატურაში კაი ხანია დამყარებულია ის აზრი, რომ კარტელის, სინდიკატის შემწევობით მრეწველობა ფეხს იდგამს და ხელს უწყობს მის განვითარებას, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ისტორიულ მდგომარეობაში. იქ სადაც გაწესრიგებულ კაპიტალის თვითნებობას არ ეღობება წინ გათვითცნობიერებული მხმარებელი და მწარმოებელი, — ამ შემთხვევაში კაპიტალი არის მხოლოდ საშვალება, რომლის შემწევობითაც მრეწველი ყვლფე ერთს-და-იმავე დროს, როგორც სინდიკატის მუშებს და მხმარებლებს, აგრეთვე დაუმუშავებელ მასალის მიმწვდენელთ. ზემოხსენებულის სიმართლის დასამტკიცებლათ შეგვიძლიან მოვიყვანოთ მაგალითათ ქუთაისის აგურის მრეწველთა სინდიკატი.

ამ სინდიკატის მიზანია მთელი ქუთაისის 24 აგურის ქარხნის წარმოება ხელთ იგდოს. „პირობის“ მეორე მუხლის ძალით სინდიკატის გამგეობა ვალდებულია იზრუნოს, რომ აგური არ ეძლეოდეს არავის ნისიათ, უკიდურეს შემთხვევაში შეუძლიან მისცეს სანდო პირს, ისიც მხოლოდ პირობით, რომ ფული შემოტანილ იქნეს არა უგვიანეს 14-ს დღისა.

ექვი არ არის, გამგე ცდილობს რაც შეიძლება მეტ ფასით გაყიდოს აგური: სინდიკატის მოქმედების განმავლობაში ქუთაისში აგურის ფასმა აიწია 1000 ცალზე მეტად (აქავე იქნებოდა თორმეტ-ცამეტ მანეთამდე, ე. ი. 35-40 მანეთამდე). მეორე მიზანს სინდიკატისას შეადგენს მუშის ხელფასის დაწევა. „ჩვენ ქარხნის გამგენი—ნათქვამია წესდების მეოთხე მუხლში,—პირობას ვსდებთ არ მივიღოთ ქარხანაში ის ხელფასანი, ან მუშა რომელიც დათხოვნილია, ან გადასული ერთი ქარხნიდან მეორეში პატრონის ნებადაურთველათ.“

უკანასკნელს ე. ი. მესამე მიზანს სინდიკატისას შეადგენს დაუმუშავებელ მასალის და შეშის ფასის დაწევა. წესდების ძალით—ქარხნის გამგენი ვალდებულიათ ხდიან თავიანთ თავს მაწოდონ ქარხანას აგურის გამოსაწვავათ საჭირო შეშა და მრ. სხე.. სინდიკატის წესდებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ტენიკურ გაუმჯობესობაზე და არც ტრანსპორტზე. ამისთვის ვეჭვობთ, რომ არტელმა ან სინდიკატმა ცოტაოდენი მაინც გავლენა იქონიოს ტენიკურ გაუმჯობესებაზე და პირ-იქით ჩვენ გვეგონია რომ ამგვარი „დახმარება“ ხდის მრეწველს მონოპოლისტათ ბაზარზე და აქრობს მასში ყოველნაირს სურვილს იზრუნოს ტენიკურ გაუმჯობესობაზე, ქარხნის უკეთესათ მოწყობაზე და მრ. სხე...“

აი ამისა გამო კარტელიზაციას წარმოებაში ვსთვლით დიდ მავნებელ მოვლენათ, რომელსაც შედეგათ მოსდევს დაჩაგვრა შრომის წარმომადგენლების კაპიტალისაგან, და საზოგადოათ მისი გამეფება შრომის ბაზარზე. ამისთვის საჭიროა გაწესრიგებულ კაპიტალის ძალას წინ დაუყენონ გაერთიანებული და გათვითცნობიერებული ძალა მხმარებელთა და შრომის წარმომადგენელთა.

О—Ъ С—Ъ

### ნაწყველები ბოლიტიკური ეკონომიიდან

(საუბარი მკითხველთან)

VIII

მ ა ნ ქ ა ნ ა

მანქანა, ხომ საწარმოვო იარაღია ე. ი. უცვლელ, მუდმივი კაპიტალი; მუდმივი კაპიტალი კი, როგორც ვცით, არავითარ ახალ ღირებულებას არა ქმნის, მას მხოლოდ თვისი ღირებულება გადააქვს ახალ საქონელში. ზედმეტი ღირებულების შემქნელი ისევე მუშის ძალაა, მანქანა კი იარაღია ამ ძალის გამოსამქვლავებლათ, განსახორციელებლათ. მუშობის დროს მოძრაობს მთელი მანქანა და არა მისი ერთი რომელიმე ნაწილი, მხოლოდ ღირებულების შემქმნის დროს მანქანის მკირვოდენი ნაწილი იხარჯება, ის ნაწილი, რომელიც ხმარების დროს იცვითება. თუ, მაგალითათ, მანქანა ღირს ასი ათასი მანეთი, მხოლოდ დღეში იცვითება მისი მესამათასედი ნაწილი, მაშასადამე ერთი დღის ვაკეთებულს საქონელის ღირებულებას ერთი მანეთი ემატება; აქ იგივე პროცესი ხდება, როგორც ჩვენ წინა წერილებში გავიცანით; აქ იგივე იარაღები იხმარება და ამ იარაღების ღირებულება ისევე შედის ახალ ღირებულებაში, მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ ამ იარაღებს სულიერი ადამიანის მაგიერ უსულო მექანიზმი ამოძრავებს; ცხადია, რაც უფრო ძვირია მანქანა, მით უფრო აძვირებს საქონელს, რადგანაც მეტი ღირებულების ნაწილი შეაქვს საქონლის ღირებულებაში; მხოლოდ, რადგან საქონლის გაიაფება უმთავრესი დანიშნულებაა ყოველ გაუმჯობესებული იარაღისა, ამიტომ მანქანის შემოღება წარმოებაში მხოლოდ მაშინ არის ხელსაყრელი, როცა ის ამ დანიშნულებას შეასრულებს. როდის, შეასრულებს ამას? მანქანა ასრუ-



ლებს მწარმოებელის სამუშაოს; მაგალითად თუ ერთი მანქანა ასრულებს ასი მწარმოებლის სამუშაოს, მაშასადამე მანქანის ის ნაწილი, რომელიც წარმოების დროს იხარჯება და საქონლის ღირებულებაში შედის იმაზედ ნაკლები უნდა ღირდეს, რაც ამდენხანს ასი კაცის სამუშაო ქირათ მიდიოდა. ერთი სიტყვით, მანქანის შემოღებით კაპიტალისტმა უნდა შეამოკლოს ის სამუშაო დრო, რომელიც აუცილებელი, საქონლის სამუშაო დროს წარმოადგენს ე. ი. უნდა შეამციროს სამუშაო ქირა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის საზარცლოა მანქანა და კაპიტალისტი ისევ ძველის წესით წარმოებას ამჯობინებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყველგან, სადაც სამუშაო ქირა მეტია, მანქანა უფრო გავრცელებულია და უფრო ადრეც შედის ხმარებაში; მხოლოდ ჩამორჩენილ ქვეყნებში, სადაც სამუშაო ქირა მეტათ მცირეა (როგორც მაგ. რუსეთში) მანქანის ხანაც გვიან დგება და მრეწველობა კუს ნაბიჯით მიდის წინ. თუ ერთი მანქანა მრავალი მუშის მაგიერობას სწევს, უეჭველია, იგი დენის ქარხნიდან მწარმოებელთა და მით ზრდის უსაქმურთა რაზმს. კაპიტალისტი, რასაკვირველია, აქ გულკეთილობას, ქველმოქმედებას ვერ გამოიჩინს და ისიც მოურიდებლათ, შეუბრალებლათ სტოვებს ულუკმა-პურათ, ტიტველ-შიშველათ აუარებელი მწარმოებელი. აბა როგორ მოიქცეს? მას იმდენი მუშა აღარ ექივრება, ათასი მუშის საქმეს ერთი მანქანა უკეთებს და ათას-ხუთასში, ხუთასს იტოვებს, ათასი კი უსარგებლოა და ამიტომ გასაძვევებელი. რომელი ერთი მაგალითი უნდა მოგიხსნათ, მეგობარო, ამ შეუბრალებლობის, რომელი ერთი გულ-შემზარავი ამბავი გაუწყოს სინამდვილის ამ კუნჭულიდან?! ჩვენ მხოლოდ რაოდენიმეს აღწინააღმდეგობა. „შევრთებულ შტატებშიო“, — ამბობს გერმანელი პროფესორი ფილიპოვიჩი, — „ბიუროს ანგარიშით სამეურნეო მანქანების საწარმოებლათ დღეს 600 კაცი იმდენსავე აკეთებს, რამდენს 15—20 წლის წინეთ ორი ათას ას ორმოცდახუთი (2145) კაცი აკეთებდა!“ 1545 კაცი უსაქმურთა შრომა მიეწერა და მაწანწალის სახელით მონათლეს! უსაქმურობაჲ სიმშლის ნიშნავს და მაწანწალის სახელი დევნას, ცემა-ყებას, ციხეს, წვილებას. ძალიან ძვირათ ჯდება, მეგობარო როგორც, ძალიან ძვირათ! იგივე ავტორი გვაუწყებს, რომ ჩქმების ქარხანაში 500 კაცი უნდებოდა წინეთ იმ ასი ფუნსაკლის გაკეთებას, რომელსაც დღეს ასი კაცი თამამად აკეთებს, 400 მწარმოებელი კი უსაქმოთ რჩება. და ასე წარმოები ყველა დარგში. „ინგლისიო“, — ამბობს შიპელი\*), — „განვითარებული ტექნიკის წყალობით წინანდელზე მეტათ უფრო ბერი საქონლის საწარმოებლათ, იმდენ მუშასაც-კი აღარ საქირებს, რამდენსაც წინეთ ბევრათ ნაკლებისათვის ხმარობდა. დღეს ინგლისის მრეწველობა მცირე რიცხოვანი მუშების შემწეობით ბევრათ მეტ საქონელს აკეთებს. ამნაირათ დღითი დღე იზრდება უსაქმო მუშათა ბრბო, ანუ სხვაფერ რომ ვთქვათ, იზრდება ბრბო ისეთი მუშებისა, რომელნიც სულ მცირე ქირით თანხმდებიან მუშობას... „1874 წლიდან 1880 წლამდე ქვანახშირის წარმოებამ მოიმატა ოცი მილიონი ტონით ანუ 14%“, მხოლოდ მუშათა რიცხვმა წარმოებაში იკლო 54 ათასამდე ე. ი. სწორედ 10%“. მანქანის შეუბრალებელი მეტოქეობა სპეციალური ხელობის მუშებმაც იგრძნეს; ვერც ისინი გადარჩნენ მის ბასრ ბრჭყალებს და საერთო გაჭირების მუხრუჭის ქვეშ ისინიც ტანჯვა-წვალებით იტყლიტებიან. „ზამთარში 1886 წელს, სიმაისი სიტყვით, სწორედ ასეთი მუშები ირეოდენ ქუჩაზე სამუშაო საძებნელათ; ესენი იყვნენ: მანქანის მკეთებელნი, მესტამბეები, მღებავები, ხურაგები და სხვანი. სიმსი სტუმრებია ერთი უბნის მცხოვრებთ

და შემდეგი ფაქტები მოყავს ნახაზიდან: 1) ტომას კლარკი მღებავი. ცოლისა და ექვსი შვილის პატრონია. უსაქმობის გამო შვიდი კვირაა პური არ უქამიათ. 2) ვილიამ ჯექსონი მღებავი. რაოდენიმე წელიწადი ერთ ქარხანაში მუშაობდა, ქარხანაში მუშათა რიცხვი შეამცირეს და ისიც უსაქმოთ დარჩა. ოთხი შვილი ყავს. ცოლი ახალი მორჩენილია შრომობა-რომისაგან. ქვეშავები დაგირავებული აქვთ. უქმელობის გამო დედას ძუძუებში რძე შეშრობია. 3) რიჩარდ ვარდვიკი—გემის მოხელე. დაწინააღმდეგებს და სამუშაოს დაეძებს ინგლისში, ოჯახის მთელი ქონება 200 მანეთათ დაუგირავებია და ვხლს აღარაფერი აბადიათ. 4) ტომას ვასტინგი. ცოლი და შვიდი შვილი ჰყავს. ერთი შვილი საავადმყოფოშია. ექიმის დამოწმებით ავადმყოფობის მიზეზი სიმშლია. მთელი ოჯახობა, სიმშლით იხოცება. სამუშაოს ვერ შოულობენ. 5) ფრიდრიხ სმიტი—საწყობში მსახურებს, ცოლისა და შვიდი შვილის პატრონია; დაითხოვეს სამსახურიდან. ეს არის პურის საზოგადოებათ წავიდა. მთელი მისი ქონება შაქარს მოუნდა. ქმარი და ცოლი უქმელობის გამო სკობრუტით არიან ავით. 6) რობერტ ელიოტი—მეწაღე. ერთი კვირაა უსაქმოთ არის, ცოლი და სამი შვილი ყავს. ცოლს მუცელი წახდენია, მაგრამ იმ დღეებშივე იძულებული იყო ლუკმა პურის მოსაპოვებლათ სახლიდან გამოსულიყო.“

სიმდიდრე და სიღარიბე ერთ ნიადაგზე, ერთ პირობებში, ერთ ასპარეზზე იჩეკებიან, იზრდებიან და საზოგადოებრივი ვითარების ქვეკუთხედს შეადგენენ! მდიდარი და ღარიბი ერთმანერთს შესწერებიან, ერთ საზღვებში მოძრაობენ, ერთი უმეოროთ ვერა სძლებს და მაინც ერთმანერთს მტრობენ, ლატობენ და ერთის უბედურებაზე მეორე თვისი ბედნიერების კოშკს იგებს! ადამიანი ბუნებას იმორჩილებს, მის ძალებს შრომის გასაავილებლათ აწყობს, მძიმე სამუშაოს ამარტივებს ათასის საკეთებელს ერთს აკეთებინებს, სულიერის მძიმე მოვალეობას უსულოს აკისრებს, მხოლოდ ამასთან ერთათ იზრდება შიშველ-შიშველთა ბრბო, მატულობს ოხვრა-კენესა, დღითი დღე მწვავდება უმრავლესობისათვის ცხოვრება და სიმწარის ცრემლ-ოფლი წალეკას უქადის კაცობრიობას! რათა? რიეთვის?.. მაგრამ ჯერ კიდევ წავიწიოთ წინ, კიდევ გავიგოთ, კიდევ გავიცნოთ ეს უცნაური ცხოვრება, ჩემო მკითხველო. დაუბრუნდეთ ისევ მანქანას. „მანქანას პირველი სიტყვა ქალისა და ბავშვის შრომა იყო!“ ეს უძლეური არსებანი დღემდე გამოუდგეარნი იყვენ ქარხანაში ძლიერი შრომისათვის; დღეიდან კი, რა რომ მანქანამ შრომა გააადვილა, მწარმოებელს თავისი როლი ჩამოართვა და ზედამხედველობა დაუტოვა, წარმოებაში მონაწილეობა სუსტმაც შესძლო. ამიტომ მანქანამ უპირველეს ყოვლისა ბავში და ქალი შეიტყუა სამუშაოთ და მით ოჯახის მამას—მწარმოებელს ცოლშვილი სასტიკ მეტოქეთ გაუხადა. სასტიკ მეტოქეთ, მეტოქი, რადგან ქალ-ბავშვთა სამუშაო ძალა მეტათ იაფია მამაკაცის შრომასთან შედარებით ყოველთვის ღ ყოველგან, ღ ამიტომ კაპიტალისტის დაუცხრომელმა სურვილმა აქაც გამოსავალი მოიპოვა. მცირე სამუშაო ქირით შესაფერი შრომელი იგდო ხელთ ღ გულმოდგინეთ შეუდგა ამ ახალი საქონლის ძიებას. თუ რამდენათ გავრცელებულია ქალთა შრომა შემდეგი ციფრები დაგვანახვებს: „გერმანელი მუშების საზოგადო რიცხვი 1891 წელს 7 მილიონამდე აღიოდა. აქიდან 4 მილიონ ნახევარი ქალები იყვნენ. წარმოების რომელი დარგიც უნდა აიღოთ და შეადაროთ საზოგადო მუშათა რიცხვი ქალთა რიცხვს, ქალები ყოველთვის უმეტესობას შეადგენენ“. ინგლისის მრეწველობაში ქალთა რიცხვმა 1881 წლიდან 1891 წლამდე ათასზე 37-მა მოიმატა, მაშინ როდესაც იმავე დროს მამაკაცთა რიცხვმა ათასზე ათმა კაცმა იკლო“. „იტალიაში ქალ-


\*) იხ. მისი: „თანამედროვე სიღარიბე“.



თა რიცხვი 11 მილიონს აღემატება, მხოლოდ აქიდან 2 მილიონ ნახევარი სამრეწველო შრომას ეწევა, სამი მილიონი სამეურნეოს. საბრეშუმო ქარხანაში 117 ათასი ქალი მუშაობს და მხოლოდ 17 ათასი მამაკაცი. ყველა წარმოებაში ქალებს უფრო სიამოვნებით ღებულობენ ვაჟებზე. „საფრანგეთში ქალები მუშების უმეტეს ნაწილს შეადგენენ, როგორც მრეწველობაში, ისე მეურნეობაში; ამასთანავე უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მუშა მამაკაცთა რიცხვი თითქმის უცვლელია“. „მოზარდი პროლეტარიატის რაზმი იზრდება განსაკუთრებით ქალებით, რადგან ეს უკანასკნელნი უფრო მცირე სამუშაო ქირას ჯერდებიან და ამიტომ მამაკაცის სამაგიეროთ უფრო გამოსადეგნი არიან კაპიტალისტისათვის“ \*). აი რას გვეუბნება ამის შესახებ მეორე მეცნიერი \*\*): თანამედროვე მანქანის წარმოება ქარხანაში ქალების მუშაობას უფრო საჭიროებს, ვიდრე კაცებისას... „სტატისტიკიდან ცხადია სჩანს, რომ, მაშინ როდესაც მამაკაცთა რიცხვმა მრეწველობაში მოიმატა 53% ნახევარი საუკუნის განმავლობაში (1841—1891 წლ.), ქალთა რიცხვმა მოიმატა 221%!“ საზოგადოთ თანამედროვე მრეწველობის ვითარება მოითხოვს ქალებს შედარებით მეტი სამუშაო მიეცეს, ვიდრე მამაკაცებს. ასეთი მზრუნველობით ეკიდება, მკითხველო, კაპიტალისტი სუსტ, ნახ ქმნილებას! ვნახოთ როგორია ეს მზრუნველობა, რა პირობებში აყენებს ის მათ. ვალაპარაკოთ ისევ მეცნიერი პელუტიე: „აი, შეხედეთ შაქრის მტეხავებს. აბა სთხოვეთ ერთ მათგანს გაჩვენოსთ ხელი. ფრჩხილები ნახევრათ მიჭმულია; თითის ბოლო დამახინჯებულია, სხეულის ვახრწნილების გამო... ხშირათ თითის მაგიერ თქვენ რასღაც გასისხლიანებულ თითის მსგავს დაინახავთ, რომელსაც მუშა ქალი ქინჯით ფარავს, რათა შაქარი არ დასვაროს და არა ტკივილების შესამსუბუქებლათ. საცოდავს დასაფარავათ მაზოლიც კი ვერ გაუჩნდება ხელზე, რადგან შაქარი ყველაფერს სტკვევს, სპობს“. „...ეს ქალები, წელში მოკუკულები, ათი საათის განმავლობაში შეუსვენებლათ მუშაობენ და შაქრის ნაჭრებს ხერხის ქვეშ აწყობენ. რაღა უნდა ითქვას გადაშხილველებზე, რომელნიც სახერხავი მანქანისაგან შაქარს ღებულობენ და სახერხავი აპარატისაკენ გადააქვთ.“ „მუშა ქალებს დღეში შვიდას-რვაასი შაქრებით სავსე ყუთები გადააქვთ ერთიადგილიდან მეორეზე. მამაკაცები არც 50 სანტიმათ დათანხმდებოდენ ამ სამუშაოს ასრულებას, მხოლოდ ქალები სულ 20 სანტიმს ღებულობენ“. „ხშირად სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილებს აზიდვიებენ მძიმეთ დატვირთულ ურემებს. ერთხელ მე თვითონ გახლდი შემდეგი სურათის მოწმე. 16—18 წლის ქალები მიეზიდებოდენ ასეთ სიმძიმეს და უეცრათ ეტლებში ვაებენ. როცა თვითონ ქალებმა განთავისუფლება ვეღარ მოახერხეს, ძახილი დაგვიწყეს მისაშველებლათ. წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როცა ამ ბარგის დაძვრა ადგილიდან რაოდენიმე ვაეკაცმაკი ვერ მოახერხა“. „ეხლა შეხედეთ ტელეფონზე მომუშავე ქალებს! ეს ქალები რაოდენიმე თვე მუქათათ მსახურებენ „გამოსაცდელათ“, მხოლოდ შემდეგ წელიწადში 800 ფრანკს იღებენ. როგორია მათი შრომა და რა პირობებში ხდება ეს შრომა? უმეტესათ 50—60 ქალი შემწვდელია დახშულ დაბაზში, სადაც საოკარი ჰაფრი დვას და ტემპერატურა ზაფხულობით 30 გრადუსამდე აწევს. ათი საათის განმავლობაში ფეხზე დგანან და მით სამუდამოთ კარგვენ ჯანმრთელობას; თითქმის სულ, განუწყვეტლივ ერთი „ტრუბკა“ ყურთან აქვთ მიდებული, მეორე პირთან და შეწყვეტენ ხოლმე ამ მოქმედებას იმიტომ, რომ შეაერთონ ძალები. რას იძენენ სამა-

გიეროთ? ნერვების აშლას, ფილტვების დაზიანებას, სისხლი წახდენას! ექიმი ქალი გაშ-სარანტის გამოანგარიშებით დღეში ამათგან 10% ავთამყოფობს.“

„აუარებელმა და ძლიერმა პროტესტებმა წინააღმდეგე ყურადღება ვისაც ჯერ არს იმ აუტანელ შრომაზე, რომელსაც ეწევიან მუშა ქალები საშუალო და მსხვილ სავაჭრო სახლებში. მათ აღკრძალული ქონდათ სამსახურის დროს დაჯდომა; უბრალო, უცაბედი რამ შეცდომისათვის სასტიკათ აჯარიმდებდენ; საცოდავი ქალები მუდამ ზედამხედველების ტუქსვა-ქენჯნის ქვეშ იმყოფებოდენ და ხშირად არშეიკობისა და საზიზღარი წინადადების მსხვერპლი ხდებოდენ. მაგრამ ეს მხოლოდ თვალსაჩინო პირობები იყო. რამდენი მოთმინება უნდა ქონოდათ, როგორი თავგანწირულება, ნების სიმტკიცე, თავის დამცირება უნდა გამოეჩინათ მყიდველების მოსატყუებლათ. ამას ვინ მოსთვლის! პრანქვა-გრეხა, ათასნაირი ფართლეულობის გახსნა-გადაშლა, აუარებელი ყუთების გაწვეგამოწვევა, ერთი სიტყვით, ყველანაირი სიფლიდით, გრეხით უნდათ გაეყიდათ საქონელი და მით „ხაზინისათვის“ კეთილდღეობა მიენიჭებინათ!“ რა შედეგი მოყვება ქალების ასეთ აუტანელ შრომას საზოგადოთ მუშათათვის? აქამდე სამუშაო ძალის ღირებულება ე. ი. სამუშაო ქირა იმდენი უნდა ყოფილიყო, რამდენიც აუცილებლათ საჭირო იყო მუშისა მისი ოჯახის გამოსაკვებათ, სარჩენათ; რა რომ ქალ-ბავშვთა გამოიტანეს ბაზარში თვისი სამუშაო ძალა გასაყიდათ, რა რომ მათი ძალაც გამოსადეგი და საკმაო შეიქნა მანქანის ხელის შესაწყობათ, ერთი სიტყვით, რა რომ ამ სუსტ აოსყათ, ოჯახის წევრებს მიეცათ სამუშაო ქირის აღების საშუალება, ოჯახის მამამ დაკარგა თვისი სამუშაო ძალის წინანდელი ღირებულება, მისი ქირა დაიყო ოჯახის ყველა წევრებზე და იმ ქირით, რომლითაც დღემდე ყიდულობდა კაპიტალისტი მარტო ერთი მამაკაცის სამუშაო ძალას, დღეს ოჯახის სხა წევრების სამუშაო ძალასაც იძენს. მანქანამ მუშას ცოდვილი ოჯახიდან გამოუდენა, მიატოვებინა სახლის კერა და ზარში გასაყიდათ გამოაფინა; ამავე დროს ოჯახის პატრონს შეუმცირა სამუშაო ქირა ე. ი. მოუკლო საარსებო ლუკმი დაუარღვია ოჯახი და შეუმოკლა შემოსავალი. მართალია შეიძლება ხოლმე კოლს, ქმარსა და შვილებს ერთად კოტათი მეტი ექნეს სამუშაო ქირა წინანდელზე, მაგრამ განაეს დაფარავს იმ დანაკლისს, რომელიც ოჯახის დარღვევამ არგუნა მუშას?!. ქალი მოსწყვიტა ოჯახს და მით მოსპო მთი მეოჯახეობა; ოჯახს აღარ ყავს ყურის მგდებელი, ის პატრონოთ არის დაგდებული დილიდან დაღამებამდე; ის ოჯახი აღარ არის; შეიძლება კიდევ მას ღამის თავშესაფარი ვუწოდოთ, მაგრამ ეს თავშესაფარი უსინათლოა, ნოტიო, დაუწმენდავი... აბა, წარმოიდგინეთ ძუძუ მწოვარა ბავშვი მარტოთ, მარტო რაოდენიმე საათის განმავლობაში უპატრონოთ მიგდებული; წარმოიდგინეთ შრომითა და უპატიურობის გაყვითლებული დედა, რომელიც სადილობის დროს აქვლავებული მირბის შვილთან ძუძუს მისაცემათ: ამაოთ ებლაუტება ჰაწია გამომშრალ ძუძუს, ამაოთ დაეძებს შიგ ტკბილ სარჩოს; წარმოიდგინეთ ამა დროს გამწარებული დედა, რომელიც სჯიჯგნის დამქნარ სხეულს, სკდილობს ძალით მაინც გამოადინოს ორიოდვე წვეთი, ბავში კი ტირის, ხრუტუნებს, სწუწნის შემკრთალი მშობლის ძუძუს და ისევ სტირის... აი ქარხნის „გულაკიც“ მოისმა, სადილობის დრო გასულა, სამუშაოთ ეძახიან. გულჩათუთქული, ნახევრათ მშვიერი, გაფითრებული, ათრთოლებული დედა სტოვებს მშვიერსა და ატირებული შვილს და მირბის ისევ მანქანისაკენ; დაღამებამდე იქ უნდა იმუშაოს. ქალი დვას და მუშაობს! მაგრამ დახე უბედობას! ესეც არ აკმარა საბრალოს ბედმა: ახალი მანქანა შე-



\*) იხ. პელუტიე: „მუშათა ცხოვრება საფრანგეთში“.  
 \*\*) გობსონი: „კაპიტალიზმის ევოლიუცია“.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

დამფუძნებელი 1904 წელს

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

გამოვა იმავე სივრცით და სწრაფის პრინციპით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

ბრედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს, იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

◆ ფასი გაზეთის მთელი წლით ისევე თუზანია ◆

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება.

1904 წლის ხელის მოწერით, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1-ლ თებერვლამდე, დაურიგდებთ პრემიით გრაფის ლ. ნ. ტოლსტოის რომანი

## ა ლ დ გ მ ა

(Воскресение)

5 მანეთად ტფილისში და 7 მანეთად ტფილისის გარეშე დაეთმობათ გაზეთი უბრემიოდ: სოფლის მასწავლებლებს, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში: „ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №117 & 118)  
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „ИВЕРІА“.

### Открыта подписка на 1904 годъ

(XII-ый годъ изданія)

на ежемѣсячный литературный и научный журналъ

# „РУССКОЕ БОГАТСТВО“

ИЗДАВАЕМЫЙ

Вл. Г. Короленко и И. К. Михайловскимъ.

Подписная цѣна:

- На годъ съ доставкой и пересылкой . . . . . 9 р.
- Безъ доставки въ Петербургъ и въ Москвѣ . . . . . 8 „
- За границу . . . . . 12 „

Въ С.-Петербургѣ—въ конторѣ журнала баскова ул., 9.

Въ Москвѣ—въ отдѣленіи конторы—Никитскія вор., д. Гагарина.

Желающіе воспользоваться разсрочкой подписной платы (за исключеніемъ книжныхъ магазиновъ и др. комиссіонеровъ по приему подписки, отъ которыхъ подписка въ разсрочку не принимается) должны обращаться непосредственно въ контору редакціи или въ Московское отдѣленіе конторы

Условія подписки въ разсрочку:

При подпискѣ 5 р. и къ 1-му іюля 4 р., или при подпискѣ 3 р., къ 1-му апрѣля 3 р. и къ 1-му іюля 3 р.

Не приславшимъ доплатъ въ означенные сроки высылки журнала прекращается.

Доставляющіе подписку книжные магазины, земскіе склады и управы, частныя и общественныя библіотеки, потребительныя общества, газетныя бюро, комитеты или агенты по приему подписки въ разныхъ учрежденіяхъ могутъ удерживать за комиссію и пересылку денегъ по 40 коп. съ каждаго экземпляра. т. е. присылать, вмѣсто 9 рублей, 8 руб. 60 коп., только при передачѣ сразу полной годовой платы.

Подписка въ разсрочку или не вполне оплаченная 8 р. 60 к. отъ нихъ не принимается до полученія недостающихъ денегъ, какъ бы ни была мала удержанная сумма.

მოიღეს, მუშათა რიცხვი შეამცირეს და ჩვენი წვალეული დედაც უსაქოთ რჩება. სიმშლით სიკვდილი მოელოს, სიცივე გაყინება ემუქრება. სადმე საკვები უნდა მოიპოვოს, ვისმე სათბობი უნდა გამოთხოვოს. თხოულობს ქუჩაზე და წესიერების დამცველი მუჯღუგუნებით ისტუმრებს, დაქვრას ემუქრებს; აბრეშუმის კაბაში ვახვეული მანდილოსანი მის დანახვაზე ცხვირს ააბზევს, ზედ ამქორებულ ცხვირსახოცს მიიღებს და ნიშნ მოგებით ეუბნება: „რათ არ მუშაობ? თხოვნას მუშაობა არა სჯობია; ღეთის მადლით ხელი მთელი გაქვს და ფეხი“. სად არის ხსნა? ერთი გზაა დარჩენია, გზა საზოგადოარი, საშიშარი, სინიდისის მქენჯნავი, მაგრამ მაინც ერთი გზა: სხეულით ვაჭრობა!.. „საზოგადოება“ კი გარყვნილების დაღს ასვამს და ხარხარით ეგვებება!.. ასეთია, მეგობარო, სინამდვილის ბრტყალები!

ა. წულუკიძე.

ღრ. რედაქტორი

გამომცემელი

ნ. ა. ალექსანვე-მესხიძე.

ს. მ. თ.-წერეთლასა.

## განსხვავებანი

მ უ თ ა ი ს უ ი

ს. გ. თოფურიას

# სამკურნალო ღვაწი

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდინსკის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლიანი შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მკუროსკოპიურ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამღების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ერთი ადგილი ღღე და ღამეში საკმელ-სასმელით, მოვლით და წამლობით ეღირება ერთიდან სამ მანეთამდე.

საკმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

# „ჯეჯილი“

წელიწადი

დამფუძნებელი 1904 წელსაც

მეხუთმეტე

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: ზატარეპისთვის და მოზრდილთათვის.

„ჯეჯილი“ მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. იანვრიდან დაიწყება ბეჭდვა ინგლისელ მწერლის მარკ-ტვენის მოთხრობისა: ტახტის მემკვიდრე და მათხრობარი. წლის განმავლობაში სხვა სტატიებთა შორის იქნება დაბეჭდილი ექვსი სტატია ჩვენი ისტორიიდან.

ხელის მოწერებს დაურავდება პრემიით

◆ დასურათებული ზღაპრების კრებული ◆

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში ღირს 4 მან., ქალაქ გარეთ 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში, „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (არტიკლერის ქუჩა № 5).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, редак. грузинск. дѣтскаго журнала «ДЖЕДЖИЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუშანიშვილი-წარითლისა.



ПОДПИСКА

НА

„С.-Петербургскія Вѣдомости“

НА 1904 Г.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Безъ казенныхъ прибавлений. Съ казенн. приб. на годъ, на 6 м. 3 м. 1 м. на годъ, 6 м. Съ доставкой по гор. почтѣ 16 р. 9 р. 4 р. 50 к. 1 р. 80 к. 18 10 р. Съ пересылкою погородн. 17 „ 10 „ 5 „ 50 „ 2 „ — „ 19 10 „ За границу . . . . . 26 „ 14 „ 8 „ — „ 3 „ — „ 28 16 „ Подписка на газету безъ «прибавл.» принимается въ конторѣ на всѣ сроки не иначе какъ съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе, какъ до конца года.

Подписка на газету съ „Прибавл. къ С.-Петерб. Вѣдом.“ (казенныя объявленныя) принимается только на годовой и полугодовой срокъ. Въ разничную продажу «Прибавл.» не поступаютъ.

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ чрезъ гг. казначеевъ (по особому съ ними соглашенію); для частныхъ же лицъ, обращающихся прямо въ контору редакціи, руб. при подпискѣ 5 руб. въ канцѣ марта и 5 р. 1 августа.

Подписчикамъ, не внесшимъ въ срокъ подписныхъ денегъ, высылка газеты прекращается.

При высылкѣ денегъ почтовымъ переводомъ слѣдуетъ обозначать требованіе о высылкѣ газеты на самомъ переводѣ, а не въ отдѣльномъ письмѣ.

При перемѣнѣ адреса необходимо слѣдуетъ сообщать: городскимъ подписчикамъ; прежній адресъ или номеръ подписнаго билета, а иногороднимъ; прежній адресъ или прислать бандероль подъ которой высылается газета. За перемѣну адреса уплачивается: съ городского иногородній 1 руб., съ иногородняго на иногородній: 40 коп. При перемѣнѣ городского или иногород. адреса на заграничный доплачивается почтовыхъ расходовъ 1 р. 10 коп. въ мѣсяцъ.

Для духовныхъ лицъ, воспитанниковъ высшихъ учебныхъ заведеній, преподавателей народныхъ училищъ и всѣхъ среднихъ и высшихъ учебныхъ заведеній, а равно для общественныхъ библиотекъ и читаленъ подписная цѣна 12 руб. въ годъ или по 1 руб. въ мѣсяцъ (исключительно чрезъ контору „С.-Петербургскихъ Вѣдомостей“).

Подписка принимается въ Петербургѣ—въ главной конторѣ «С.-Петербургскихъ вѣдомостей», Шпалерная 26 и въ книжныхъ магазинахъ: 1) Цинзерлинга (бывш. Мелье). Невскій пр., № 20 и 2) П. П. Сойкина, Невскій пр., № 96, уголъ Надеждинской; въ Москвѣ—въ конторѣ Н. Печковской, Петровскія линіи, № 61

Иногородніе адресуютъ: С.-Петербургъ, Шпалерная, 26,

Изд. кн. Э.Э. Ухтомекій.

Ред. А. А. Столыпинъ.

Открыта подписка на 1904 г.

на большую ежедневную съ полной программой, выходящую въ Баку, газету

„Бакинскія Извѣстія“

Газета имѣетъ собственныхъ корреспондентовъ въ крупныхъ городахъ Кавказскаго края, а также въ С.-Петербургѣ, Москвѣ и заграницей.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Для городскихъ подписчиковъ: На годъ 7 р., на 6 мѣс.—4 р. 50 к., на 3 мѣс.—2 р. 50 к., на 1 мѣс.—1 р. Для иногороднихъ: на годъ 8 р. 50 к., на 6 мѣс.—5 р. 25 к., на 3 мѣс.—3 р. 25 к., на 1 мѣс.—1 р. 25 к.

Для годовыхъ подписчиковъ допускается разсрочка:

Для городскихъ: при подпискѣ 3 р., къ 1 апрѣля—2 р., къ 1 іюля 2 руб. Для иногород.: при подпискѣ 3 р. 50 к., къ 1 апрѣля—3 р., къ 1 іюля—3 р.

Редакторъ-издатель Н. А. ГРИНЕВЪ.

При каждомъ № „НИВЫ“, независимо отъ другихъ приложений подписчики получаютъ по одной книгѣ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1904 годъ

(35-й годъ изданія)

на еженедѣльный иллюстрированный

ЖУРНАЛЪ

со многими приложениями

Гг. подписчики „НИВЫ“ получаютъ въ теченіе 1904 года:

НИВА

52 №№ художественно-литературнаго журнала „НИВА“, заключающаго въ себѣ въ теченіе года до 2000 столбцовъ текста и 1100 гравюръ, рисунковъ и художественныхъ снимковъ.

40 КНИГЪ „Сборника Нивы“ (каждая книга отъ 10—15 листовъ, въ общемъ около 9.000 страницъ), отпечатан. четк. шрифтомъ на хорошо-глазировав. бумагѣ и содержащихъ:

ПОЛНАГО СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ

20 книгъ А. К. ШЕЛЛЕРА-МИХАЙЛОВА.

(Цѣна въ отдѣльной продажѣ съ перес. 27 руб.)

Подъ редакціей и со вступительной статьей А. М. Скабичевского.

ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ ВЪ

16 КНИГАХЪ ГЕНРИХА ГЕЙНЕ.

(Цѣна въ отдѣльной продажѣ съ перес. 15 руб.)

Подъ редакціей и съ биографическимъ очеркомъ П. И. Вейнберга. Переводъ этого изданія удостоенъ въ текущемъ году академіею наукъ пушкинской преміи.

ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ ВЪ

4 КНИГАХЪ И. Ф. ГОРБУНОВА.

(Цѣна въ отдѣльной продажѣ въ перес. 4 р. 50 к.)

Подъ редакціей и съ обширнымъ вступительнымъ очеркомъ А. Ф. Кони и некрологомъ Т. И. Филиппова.

12 книгъ „Ежемесячныхъ литературныхъ и популярно-научныхъ приложений“, содержащихъ романы, повѣсти, рассказы, популярно-научныя и критическія статьи современныхъ авторовъ и отдѣлы библиографіи, музыки, смѣси, шахматовъ и пашекъ, спорта, забавъ и разныхъ игръ. До 2000 столбцовъ текста съ иллюстраціями.

12 №№ „ПАРИЖСКИХЪ МОДЪ“, выходящихъ ежемѣсячно. До 200 столб. текста и 300 модныхъ гравюръ. Съ почтовымъ ящикомъ для отвѣтовъ на разнообразныя вопросы подписчиковъ.

12 ЛИСТВЪ рисунковъ (около 300) для рукодѣльныхъ и вышивальныхъ работъ и для выжиганія и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

1 „СТѢННОЙ КАЛЕНДАРЬ“ на 1904 годъ, отпечатанный въ 9 красокъ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на годовое изданіе со всѣми приложениями: безъ доставки: 1) въ С.-Петербургѣ—6 р. 50 к., 2) въ Москвѣ въ конторѣ Н.Н. Печковской (Петровск. линія)—7 р. 25 к., 3) въ одессѣ въ кн. маг. „Образованіе“ (Римшельск., № 12)—7 руб. 50 коп. съ доставкой въ С.-Петербургѣ—7 руб. 50 к. СЪ ПЕРЕСЫЛКОЙ ВО ВСѢ ГОРОДА И МѢСТНОСТИ РОССІИ 8 р. За границу—12 руб.

— Допускается разсрочка платежа въ 2, 3 и 4 срока —

Иллюстрированное объявленіе о подпискѣ высылается бесплатно.

Требованія просятъ адресовать: въ С.-Петербургѣ, въ Главную Контору журнала „НИВА“ (А. Ф. Маркеу), улица Гоголя (бывш. М. Морская) д. № 22.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1904 ГОДЪ

(шестой годъ изданія)

На еженедѣльную газету

„П Р А В О“

Выходящую подъ редакціей пр.-доц. В. М. Гессена и Н. И. Лазаревского и при ближайшемъ участіи І. В. Гессена, пр.-доц. А. И. Каминка, проф. В. Д. Кузьмина-Караваева, В. Д. Набокова и проф. Л. І. Петражицкаго.

Подписная цѣна: на годъ съ доставкой и пересылкой—7 руб., на полгода—4 р. Допускается разсрочка: при подпискѣ—4 р. и къ 1 мая—3 р. За границу на годъ—10 руб.

Главная контора: С.-Петербургъ, Загородный пр., № 2, при юридическомъ книжномъ складѣ „Право“.